„ღმერთმა დამიფაროს...„ A2
"ტოტო ლოტო"-ს ცხრილები A6-A7
TV პროგრამა A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი · ორშაბათი, 7 ივლისი, 2003 წელი. №184 (396) · ფასი 30 თეთრი

# გატაცებული ესპანელების ჩვენება

ორი ესპანელი ბიზნესმენი ხოსე ანტონიო ტრიმინო გომესი და ფრანცისკო როდრიგეს კაბალა 2000 წლის 30 ნოემბერს თბილისში, აეროპორტის გზატკეცილიდან გაიტაცეს. ესპანელ მძევალთა გათავისუფლებას ქართველმა ძალოვანებმა წელიწადზე მეტი მოანდომეს. პანკისის ხეობაში დატყვევებული უცხოელები 2001 წლის 8 დეკემბერს გაათავისუფლეს. ეს რეზონანსული საქმე სერიოზული მითქმა-მოთქმისა და საერთაშორისო სკანდალის ობიექტი იყო.
გათავისუფლების შემდეგ ბიზნესმენებმა ჩვენება მისცეს ესპანეთში.
მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩვენებები 4 უწყებაში - გენერალურ პროკურატურაში, უშიშროების საბჭოში, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებში - უკვე რამდენიმე თვეა, საგულდაგულოდ ინახება, დღემდე მას არც მზის სინათლე ეღირსა და არც კანონიერი რეაგირება.
საინფორმაციო სააგენტო „ექსპრესმა“ გატაცებული ესპანელების ჩვენებები ესპანეთიდან საკუთარი გზებით მოიპოვა. სტილი დაცულია...
დღეს გთავაზობთ ფრანცისკო როდრიგეს კაბალას ჩვენებას.
ჩვენებების გამოქვეყნების შემდეგ, გაზეთი შემოგთავაზებთ კომენტარებს ესპანელების საქმის გარშემო.

გაგრძელება A4 გვერდზე



*ხოსე ანტონიო ტრიმინო გომესი და ფრანცისკო როდრიგეს კაბალა.*

## რწმუნებული სახელისუფლებო ბლოკს მხარს არ დაუჭერს

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

ქუთაისში საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის სტუმრობისას მოწყობილ შეხვედრაზე, რომელიც, ძირითადად, ეკონომიკურ სამართალდარღვევებს შეეხებოდა, იმერეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულმა პოლიტიკური განცხადება გააკეთა. შაშიაშვილის თქმით, სანამ სახელისუფლებო ბლოკში ხაზარაძე და მამალაძე იქნებიან, ის ამ ბლოკს მხარს არ დაუჭერს. ამ საკითხზე საუბრისას შაშიაშვილმა, ბევრის გასაკვირად, თავის დროზე იმერეთის ქალაქკომის მდივნის, მამუკა ასლანიკაშვილის

გაგრძელება A2 გვერდზე

## სავალუტო ფონდი მთავრობას ვადას 15 აგვისტომდე აძლევს

*საქართველოს მთავრობამ სავალუტო ფონდთან შეთანხმებას მიაღწია. დღეს შუადღისას უკვე მზად იქნება სამახსოვრო მემორანდუმი, რომელსაც მისია საღამოს 8 საათზე პრეზიდენტს წარუდგენს. საქართველოს მთავრობას სავალუტო ფონდი 15 აგვისტომდე აძლევს ვადას იმ ვალდებულებების შესასრულებლად, რაც მემორანდუმში ჩაიწერება.*

სოფო კვინტრაძე

საქართველოს მთავრობამ სავალუტო ფონდის ერთ-ერთ ყველაზე რთულ მისიასთან მოლაპარაკებები დაასრულა. ხელისუფლება კმაყოფილია, რომ შეთანხმებას მიაღწია და სავალუტო ფონდი საქართველოსთან ურთიერთობას არ წყვეტს, რისი საშიშროების წინაშეც ქვეყანა მოლაპარაკებების ბოლო წუთებამდე იდგა. შეთანხმების მიღწევა რთული გამოდგა, კიდევ უფრო რთული შესასრულებელია ის ვალდებულებები, რაც მთავრობამ იტვირთა, თანაც, საკმაოდ მოკლე დროში. სამახსოვრო მემორანდუმის თანახმად, საქართველოს მთავრობამ, კერძოდ კი - ფინანსთა სამინისტრომ 2003 წლის ბიუჯეტის სახარჯო

გაგრძელება A2 გვერდზე

## გუშინ პაკისტანის ტერაქტის შესაძლო ორგანიზატორები დააპატიმრეს

ლევან ღირსიაშვილი

პაკისტანის სამართალდამცავთა განცხადებით, მათ ქალაქ ქვეტას შიიტურ მეჩეთში პარასკევის ლოცვის დროს აფეთქების მოწყობაში ეჭვმიტანილი 15 პირის დაკავება შეძლეს. ტერაქტმა ქალაქში მასობრივი არეულობები გამოიწვია. პაკისტანის ხელისუფლებამ ქვეტაში შეიარაღებული ძალების შეყვანის და კომენდანტის საათის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. თუმცა, მასობრივი მღელვარება ქალაქის ფარგლებსაც გასცდა. გუშინწინ ქვეყნის უმსხვილეს ქალაქ ყარაჩიში ექსტრემისტებმა ხუთი ავტობუსი დაწვეს. ქალაქის მთელ რიგ რაიონებში დახურულია ბაზრობები და მაღაზიები. ყარაჩისა და სხვა ქალაქებში სამხედროები და პოლიციელები პატრულირებენ.

უკვე გამოქვეყნდა ქვეტაში ტრაგედიის დროს დაღუპული ადამიანების ზუსტი რიცხვი. ფანატიკოს-კამიკაძეთა მოქმედებას 47 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და 65 დაიჭრა.

ტერაქტის თვითმხილველთა განცხადებით, იმ დროს როდესაც მეჩეთში, მუსულმანთათვის განსაკუთრებით წმინდა, პარასკევის ლოცვა აღევლინებოდა, ისნა-აშარიას მეჩეთის კომპლექსში სამი უცნობი მამაკაცი შევიდა, რომლებიც ურიკას მიაგორებდნენ. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ,

გაგრძელება A3 გვერდზე

*უცხოეთი*

### ტონი ბლერი „ბიბისის" უპირისპირდება

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა განაცხადა, რომ ის ძალზე აღაშფოთა სააგენტო “ბიბისის” ინფორმაციამ იმასთან დაკავშირებით, რომ ბრიტანეთის ხელისუფლებამ ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის შესახებ მონაცემები გააზვიადა.

A3

## პოლიტიკური სპექტრი კმაყოფილია

### ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბედი ქართველებს ამერიკელებმა გადაგვიწყვიტეს

*პირდაპირი დირექტივა მიღებულია - ორ აგვისტომდე პარლამენტმა ამერიკის მთავრობის ინიციატივას კომისიის დაკომპლექტების თაობაზე საკანონმდებლო სახე უნდა მისცეს და მიიღოს კიდეც. ქართული პოლიტიკური სპექტრი შემოთავაზებული მოდელით აშკარად კმაყოფილია. “ჩიხიდან გამოსავალი მოძებნილია”, – აცხადებენ როგორც სახელისუფლებო ფრაქციების წარმომადგენლები, ასევე ოპოზიციონერებიც. ასე რომ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრობლემა, რომელსაც რამდენიმეთვიანი უშედეგო კონსულტაციები, დებატები და ვაჭრობები მიეძღვნა, თითქოს გადაჭრილია.*

თამარ მჭედლიშვილი

ცესკო-ს დაკომპლექტების ახალი მოდელით განსაკუთრებით ოპოზიციონერები მოიხიბლნენ. “**საპარლამენტო არჩევნების ჩატარების და ცესკო-ს დაკომპლექტების შემოთავაზებული ფორმულა უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ თუ ეს რეკომენდაციები შესრულდება, მაშინ საქართველოში არჩევნები თავისუფლად და სამართლიანად ჩატარდება”,** – აცხადებდა გუშინ “გაერთიანებული დემოკრატების” ლიდერი ზურაბ ჟვანია.

გაგრძელება A2 გვერდზე

*კრიმინალი*

### ცივი იარაღის ტარება არ ისჯება

სულ რამდენიმე დღეა, რაც ძალაში შევიდა “საქართველოს კანონი იარაღის შესახებ”. მას შემდეგ ფეხით მოსიარულე მოქალაქეებს, განსაკუთრებით - ახალგაზრდა ვაჟებს, პოლიციელები (ძირითადად, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილნი) აჩერებენ და ცივი იარაღის მოთხოვნის მიზეზით, ყოველგვარი საბუთის გარეშე, ჩხრეკას უტარებენ.

A3

## ჯეიმს ბეიკერმა „მზა რეცეპტი" ჩამოიტანა

*ამერიკის შეერთებულ შტატებს, პირველ რიგში - საქართველოს ხელისუფლებისთვის, მასთან ერთად - ოპოზიციისთვის და, ზოგადად - მოსახლეობისთვის, ასე აშკარად და, რაც მთავარია, აბსოლუტურად ღიად არასოდეს მიუნიშნებია, რომ არშემდგარ ქვეყანაში ვცხოვრობთ. მეორე მხრივ კი, ასე მკვეთრად არასოდეს დაუფიქსირებია, რომ აშშ-ს ინტერესი საქართველოში საკმაოდ გრძელვადიანია საიმისოდ, რათა დღევანდელმა მსოფლიო სუპერ-სახელმწიფომ ანტიდემოკრატიული სიურპრიზები აიტანოს და, რაც უფრო მთავარია, სიტუაციის აფეთქება დაუშვას.*
*აშშ-მ საქართველოსთან მიმართებაში არა უპრეცედენტო, მაგრამ განსაკუთრებული ნაბიჯი გადადგა - შაბათს თბილისში, ჯორჯ ბუშ-უმცროსის სპეც-დავალებით ჩამოსულმა ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა, “ედუარდ შევარდნაძის მეგობარმა” ჯეიმს ბეიკერმა ცესკო-სა და საოლქო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მზა წესი და საქართველოში არჩევნების ჩატარების მონიტორინგის ასევე მზა სისტემა ჩამოიტანა:*

თამარ ხორბალაძე

თითოეული (როგორც ცენტრალური, ისე ყველა სხვა დონის) კომისიის 5 წევრი დასახელდება მთავრობის მიერ, 9 წევრი დასახელდება ოპოზიციის მიერ, თავმჯდომარე, **“რომელიც არის ქართული საზოგადოების, ყველას მიერ პატივცემული, წარმომადგენელი და არ არის პოლიტიკურად აქტიური, დაინიშნება ეუთო-ს მიერ,”** - ასეთია კომისიების დაკომპლექტების ამერიკული “რეცეპტი”.

მიუხედავად იმისა, რომ შაბათს, ამერიკის პრეზიდენტის წარმოგზავნილი ოპოზიციასაც და პრეზიდენტსაც საკმაოდ ხანგრძლივად ესაუბრა, არსებული ინფორმაციის თანახმად, ბეიკერი სადისკუსიოდ განწყობილი სულაც არ გახლდათ – მისი პოზიცია საკმაოდ მკაცრიც იყო და საკმაოდ შეუვალიც.

საინტერესოა, რომ ეს შეუვალი პოზიცია, გარკვეულწილად, სიურპრიზი აღმოჩნდა ედუარდ შევარდნაძისათვის, რომელმაც ჯეიმს ბეიკერთან შეხვედრის შემდეგ დაგეგმილი ბრიფინგი, ფაქტობრივად, არ ჩაატარა. როგორც ცნობილია, “ამერიკელ მეგობარს” საქართველოს პრეზიდენტმა შაბათს ვერც (თუ არც) საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესზე განუცხადა თანხმობა. ყოველ შემთხვევაში, გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით

გაგრძელება A2 გვერდზე



REUTERS

*ჯეიმს ბეიკრმა გუშინ პრესკონფერენცია გამართა.*

## როჯე ფედერერი უიმბლდონის ჩემპიონია

A5



REUTERS

*ფედერერი სანუკვარი თასით.*

*ამინდი*

| | |
|---|---|
| თბილისი | 36 |
| ბათუმი | 40 |
| ქუთაისი | 40 |
| თელავი | 39 |
| სოხუმი | 39 |

*უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში*

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1500 |
| ევრო | 2.4891 |
| გირვანქა სტერლ | 3.5750 |
| რუბლი | 0.0708 |

A2 ამბები A3 ამბები A4 ექსკლუზივი A5 სპორტი A6 - A7 "ტოტო ლოტო"-ს ცხრილები A8 სხვადასხვა

# პოლიტიკური სპექტრი კმაყოფილია

პირველი გვერდიდან

„გაიმარჯვა ლეიბორისტული პარტიის იდეამ არჩევნების ეუთო-ს ევიდით გამართვის თაობაზე, ეს საპარლამენტო გამარჯვების იმედს გვაძლევს," — კმაყოფილებას ვერ მალავდა, თავის მხრივ, „ლეიბორისტი" შალვა ნათელაშვილი.

**„ბეიკერმა შეძლო დაერწმუნებინა პრეზიდენტი, რომ ხელისუფლება დათმობაზე წასულიყო. ეს ოპოზიციისთვის მისაღებია,"** — ეს უკვე „ტრადიციონალისტი" აკაკი ასათიანია. რაც შეეხება „აღორძინებას", მისი ერთ-ერთი ლიდერის ჯემალ გოგიტიძის თქმით, **„არჩევნები აქამდე ყველა დონეზე ყალბდებოდა. ახლა, შეიძლება, გაჩნდეს იმის იმედი, რომ ხელისუფლება არჩევნებს უხეშად აღარ გააყალბებს."**

ასეთი შეფასებების მიუხედავად, ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, საბოლოოდ როგორი ცენტრალური საარჩევნო კომისია გვეყოლება. ბუნებრივია, ჯეიმს ბეიკერის ვიზიტის შემდგომ, მის მიერ შემოთავაზებული ცესკო-ს დაკომპლექტების ზოგადი პრინციპი არ შეიცვლება. ახლა პოლიტიკურ სპექტრს მხოლოდ იმის გარკვევაღა მოუწევს, თუ რომელ ოპოზიციურ პარტიებს მიენიჭებათ კომისიაში წევრის ყოლის უფლება და რა პრინციპით შეირჩევა ეს პარტიები.

თუმცა, გუშინ პოლიტიკურ კულუარებში უკვე სახელდებოდა რამდენიმე პარტია, რომლებსაც, სავარაუდოდ, ეს უფლება მიენიჭებათ. ამ ვერსიის თანახმად, კომისიაში საკუთარი წევრები, ხელისუფლების გარდა, ეყოლებათ „აღორძინებას", „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", „ახალ მემარჯვენეებს", „გაერთიანებულ დემოკრატებს", „ნაციონალურ მოძრაობას" და „ლეიბორისტულ პარტიას", იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ სხვადასხვა დროს საარჩევნო ბარიერები დაძლიეს (იგულისხმება 1999 წლის საპარლამენტო და 2002 წლის ადგილობრივი არჩევნები). ეს კი, როგორც გასაკვირიც არ უნდა იყოს, ხელისუფლებას ხელს აძლევს.

სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთმა ლიდერმა „24 საათს" "შინაურულად" აუხსნა, რომ **„ბეიკერის მიერ შემოთავაზებული ვარიანტის მიხედვით, კომისიის ცხრა წევრი ოპოზიციონერი უნდა იყოს. თუკი ამ სქემაში „აღორძინება" და „მრეწველები" „ჩაჯდა", მაშინ ჩვენ ისეთ სურათს მივიღებთ, რომელიც გვსურს. ანუ, ოპოზიციას ხმების ორი მესამედის გაკონტროლების საშუალება არ ექნება, რადგან „აღორძინებაც" და „მრეწველებიც" ის პოლიტიკური ძალაა, რომელთანაც საერთო ენის გამონახვა ყოველთვის შეიძლება".**

თუკი სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლების ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ გამოდის, რომ ხუთის ნაცვლად, შევარდნაძეს კომისიაში შვიდი გულმხურვალე მხარდამჭერი ეყოლება. ეს კი ხელისუფლებისთვის სწორედ რომ მისწრებაა, რადგან პრინციპული გადაწყვეტილებების მიღებისას (რომელსაც კომისიის წევრთა ხმების ორი მესამედი დასჭირდება), იგი თამაშგარე მდგომარეობაში არ დარჩება.

თავის მხრივ, „აღორძინება" და „მრეწველები" სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელთა ასეთ გათვლებს „აბსურდულს" უწოდებენ და მედიის წინაშე კიდევ ერთხელ აცხადებენ, რომ ისინი სულით ხორცამდე ოპოზიციონერები არიან და ხელისუფლებასთან არანაირ გარიგებაზე არ წავლენ.

# ბეიკერის ვარიანტი ყველასთვის მისაღები აღმოჩნდა

ლელა მჭედლიძე

გუშინ სახელისუფლებო ფრონტის წარმომადგენლები ბეიკერის ვარიანტზე სასაუბროდ სახელმწიფო კანცელარიაში შეიკრიბნენ. ედუარდ შევარდნაძის მხარდამჭერები ბეიკერის რეკომენდაციებს ერთხმად იწონებდნენ და საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიციასთან შედარებით მეტ პროდასავლურობაზეც სდებდნენ თავს, **„ბეიკერის პროექტის მსგავს ვარიანტს, დიდი ხანია, ვთავაზობდით ოპოზიციასო"**. ბლოკის სპიკერს, ირინა სარიშვილ-ჭანტურიას ამ სიტყვებზე ქვემო ქართლის გუბერნატორი ლევან მამალაძეც კვერს უკრავდა: **„ბეიკერის პროექტი სახელისუფლებო ბლოკის გამარჯვებაა. ვისაც არ მოსწონს, ადგეს ახლა და ეჭიდაოს ამერიკას"**. ამერიკასთან ჭიდაობის სურვილი კი, ქვემო ქართლის გუბერნატორის აზრით, „დემოკრატების" ლიდერ ზურაბ ჟვანიას უნდა გაუჩნდეს, რომელიც **„არჩევნების ყველაზე დიდი გამყალბებელია. რუსეთის დიდი მხარდაჭერით სარგებლობს, იმ დონის მხარდაჭერით, რომ კაბინეტში რუსი იმიჯმეიკერები უსხედან, რომლებსაც დასავლეთის აქტიურობა და მათ მიერ შეთავაზებული პროექტი დიდად არ მოეწონებათ".**

ირინა სარიშვილმა-ჭანტურიამ მისი და ბეიკერის საერთო მოწინააღმდეგედ, უფრო მეტად, აჭარის წარმომადგენლობა მიიჩნია: „ეს ვარიანტი „აღორძინების" უკმაყოფილების მიზეზი გახდება, ცესკო-ში ერთი წარმომადგენელი რატომ უნდა მყავდესო". საერთოდ კი, ძირითადად მოწონებული, ცესკო-ს ამერიკული ვარიანტის დეტალები, სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელთა აზრით, გაუგებარია და ამიტომ – დასაზუსტებელი. მაგალითად, ბლოკის სპიკერმა ირინა სარიშვილმა-ჭანტურიამ ვერაფრით ვერ წარმოიდგინა - ეუთო ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევას, საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით, ტექნიკურად როგორ მოახერხებდა.

# ქართული ოპოზიცია - ბეიკერის ვიზიტზე

ქართული ოპოზიცია, რომელსაც ჯეიმს ბეიკერი ორჯერ – შაბათს, პრეზიდენტთან შეხვედრის წინ და კვირას დილით ესაუბრა, აშშ-ს წინადადებებით, ძირითადად, კმაყოფილია.

განსაკუთრებულ „აღფრთოვანებას" ვერ მალავს „გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი ზურაბ ჟვანია, რომელმაც ვიზიტს სპეციალური ბრიფინგი მიუძღვნა. მისი თქმით, **„ბეიკერის ვიზიტმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ამერიკა საქართველოს მხოლოდ უსაფრთხოების დარგში პარტნიორად არ მიიჩნევს და უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების შეუქცევადობას. ბეიკერის ვიზიტი ჩემთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რამდენადაც ამერიკული „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის დაწყება და ისევე ამაღელვებელი, როგორც საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანება".**

ჟვანია აცხადებს, რომ ბეიკერის მიერ ჩამოტანილი საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი ოპოზიციისათვის მისაღებია და ამბობს, რომ ოპოზიციის კვოტის შევსება ერთი პარტიის მიერ ერთი წევრის დამტკიცებით უნდა მოხდეს.

*24 საათი*

# „ღმერთმა დამიფაროს..."

ამ ბოლო დროს, პოლიტიკურ კულუარებში რამდენიმე მეტად საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა. ეს ხმები მომავალ საპარლამენტო არჩევნებს და არჩევნების წინ პოლიტიკოსთა ერთი პარტიიდან მეორეში მიგრაციის თემას ეხება.

ამ ინფორმაციის თანახმად, „გაერთიანებული დემოკრატების" რიგებში სრული გაურკვევლობაა და პარტიის ლიდერთა ნაწილი „მოქალაქეთა კავშირის" წიაღში დაბრუნებას გეგმავს. ამ კონტექსტში მოულოდნელად ამოტივტივდა დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერის მიხეილ მაჭავარიანის გვარიც.

**„ღმერთმა დამიფაროს... რას ამბობთ... ახლავე უნდა წავიდე ეკლესიაში და სანთლები დავანთო... როგორ უნდა დამსაჯოს ღმერთმა, რომ ეს ნაბიჯი გადავდგა... ვისთან მივიდე? რჩეულიშვილთან, ხაზარაძესთან, სარიშვილთან თუ კაკო ჩხაიძესთან?"** – განაცხადა, თავის მხრივ, „24 საათთან" საუბრისას მიხეილ მაჭავარიანმა, რომელმაც იქვე დასძინა, რომ **„პარტიაში სრული წესრიგია და „დემოკრატები" მომავალი არჩევნებისთვის აქტიურად ემზადებიან".**

*24 საათი*

# „ამცახარა" აფხაზთა პრემიერს ყრილობაზე დაუპირისპირდება

აფხაზ ვეტერან-მეომართა ოპოზიციური პარტია „ამცახარა" მორიგი ყრილობისთვის ემზადება. უკვე დადგენილია დღის წესრიგიც. პირველ საკითხად განიხილება აფხაზეთში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება. ყრილობაზე იმსჯელებენ, აგრეთვე, აფხაზთა პრემიერ რაულ ხაჯიმბას მიერ ცოტა ხნის წინ გამოთქმულ პრეტენზიებზე. ყრილობაზე აპირებენ იმის გამომზეურებას, თუ რა მოხდა კოდორის ხეობაში 7 ივნისს და გალის რაიონში 1998 წელს.

*მედია-ნიუსი*

# რწმუნებული სახელისუფლებო ბლოკს მხარს არ დაუჭერს

პირველი გვერდიდან

თვითმკვლელობის ფაქტი გაიხსენა. **„ვინც მამუკა ასლანიკაშვილი თვითმკვლელობამდე მიიყვანა, ისინი არიან დღეს ზენიტში. თვითმკვლელობამდე კი იგი სინდისგაცლილებმა, ენის მიმტან-მომტანებმა, ინტრიგის ოსტატებმა და ფულებში გადავარდნილმა ადამიანებმა მიიყვანეს. სხვა მათ რომ ვერაფერი მოუხერხა, ზოგიერთი სამჯერ საკუთარ კაბინეტში სასტიკად ჰყავს ნაცემი, მათ შორის აღმასკომის თავმჯდომარეც კი იყო** (აღმასკომის თავმჯდომარე მაშინ ვიტალი ხაზარაძე გახლდათ, - რედ.) **და ზოგიც კიდევ სხვა თანამდებობებს ინაწილებდა,"** - განაცხადა შაშიაშვილმა.



თემურ შაშიაშვილი: ვინც ასლანიკაშვილი თვითმკვლელობამდე მიიყვანა, დღეს ზენიტში არიან.

პოლიტიკური განცხადების გაკეთების გარდა, რწმუნებულმა კატეგორიულად მოითხოვა, რომ იმ პირებს, რომელთაც ფქვილისა და ნავთობის ბიზნესთან კავშირი აქვთ, სამხარეო აპარატში მუშაობა აეკრძალოთ. ანალოგიური ღონისძიებების გატარება შაშიაშვილმა ქუთაისის მერიასა და ყველა რაიონის გამგებელს დაავალა. **„ეს არ არის სუფთა ბიზნესი და არ სჭირდება ქვეყანას ამ ბიზნესით გამდიდრებული ხალხის ხელისუფლებაში ყოფნა,"** - აცხადებს შაშიაშვილი, თუმცა, მის ამ განცხადებას რა შედეგები მოჰყვება, უცნობია. ამასთან, იმავე დარბაზში მის სიტყვებს რამდენიმე ისეთი პირიც ისმენდა, რომელთაც შაშიაშვილისთვის მიულებელ ბიზნესთან კავშირი აქვთ. ამის თაობაზე ისევ რწმუნებულმა მიანიშნა. **„ზოგიერთი თანამდებობის პირი, რომელიც ამჟამად დარბაზში ზის, თავის დროზე მეუბნებოდა: მერიის შენობიდან რომ გავიდე, ჩემი ბიზნესის გამო სამართალდამცავები შემჭამენო,"** - თქვა შაშიაშვილმა, თუმცა, ასეთ თანამდებობის პირთა ვინაობა არ დაუსახელებია.

# ჯეიმს ბეიკერმა „მზა რეცეპტი" ჩამოიტანა

პირველი გვერდიდან

დარჩა ორი დღით საქართველოში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ელიზაბეთ ჯოუნსი, რომელიც, თავისთავად, აშშ-ს ხელისუფლების საკმაოდ წონადი პერსონაა.

თუმცა, პრინციპში, სახელისუფლებო თანხმობა რომ გარანტირებულია, ეს თავად ბეიკერის პრესკონფერენციაზეც ჩანდა, სადაც ამერიკის პრეზიდენტის დესპანმა ჟურნალისტებს აშშ-ს პოზიცია საკმაოდ კატეგორიული ტონით გააცნო. რა თქმა უნდა, ცალკე საკითხია ოპოზიციის და ხელისუფლების კვოტების დაკომპლექტების პრინციპი, სადაც აშშ საქართველოს გარკვეულ „თავისუფლებას უტოვებს".

გარდა ამისა, აშშ სთავაზობს საქართველოს, რომ **„ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ყველა მონაწილე შეთანხმდეს - მხარი დაუჭიროს და ხელი შეუწყოს ქვემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებს, მომავალი არჩევნების თავისუფლად, სამართლიანად და ეუთო-ს სტანდარტების მიხედვით ჩასატარებლად."** სქემაში, რომელიც ბეიკერმა საქართველოში ჩამოიტანა, განსაკუთრებით არის აღნიშნული, რომ **„არჩევნების ყველა მონაწილე თანხმდება, რომ ისინი არ დაიწყებენ თავიანთი ოპონენტების დევნას არჩევნების შემდეგ".**

გარდა ამისა, საქართველოში არჩევნების ჩატარების მონიტორინგის სქემა შეიცავს 10 პუნქტს, რომელიც ქართულ პოლიტიკურ სპექტრს შემდეგ ვალდებულებებს აკისრებს:

**„1. პარლამენტი მიიღებს და მთავრობა განახორციელებს არჩევნების შეთანხმებულ კოდექსს 2 აგვისტომდე.**

**2. მხარეები შეთანხმდებიან საარჩევნო კომისიის შემადგენლობაზე ყველა დონეზე, 1 აგვისტომდე.**

**3. ყველა პოლიტიკური მოღვაწე თავს შეიკავებს ძალადობის, მისკენ მოწოდების, მუქარისა და დაშინებისაგან საარჩევნო კამპანიის, არჩევნების მიმდინარეობისა და შემდგომ პერიოდში.**

**4. მთავრობა შეიმუშავებს ამომრჩეველთა ზუსტ და გამჭვირვალე ელექტრონულ სარეგისტრაციო სიებს, რომლებიც განთავსდება საარჩევნო უბნებსა და ინტერნეტზე 1 სექტემბრამდე.**

**5. მთავრობა და ყველა პოლიტიკური მოღვაწე ითანამშრომლებს თბილისისა და მისი გარეუბნების საარჩევნო კომისიების წევრების მომზადების პროგრამებთან. მომზადების პროგრამა დაიწყება დაუყოვნებლივ და 15 სექტემბრისთვის დასრულდება.**

**6. მთავრობა გარანტიას იძლევა, რომ ყველა კანდიდატი პრესასა და ტელევიზიაში (სახელმწიფო მედიის ჩათვლით) თანაბრად იქნება დაშვებული. აღნიშნული წესი ძალაში შედის მიღებისთანავე.**

**7. მთავრობა 15 სექტემბრამდე გამოსცემს დებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფს არჩევნების დეტალური შედეგების დროულად გამოქვეყნებას ყველა დონეზე.**

**8. მთავრობა მხარს დაუჭერს და ხელს შეუწყობს, რომ ხმები დათვლილ იქნას დამოუკიდებელი დამკვირვებლების მიერ. დებულება შესული უნდა იქნას საერთო საარჩევნო კოდექსში 1 აგვისტომდე. მთავრობამ უნდა შეიმუშაოს მეთოდი, რომელიც ხმების დათვლის გამჭვირვალობასა და სიზუსტეს უზრუნველყოფს ყველა რეგიონში.**

**9. მთავრობა მიესალმება და მხარს დაუჭერს არჩევნებში დამოუკიდებელი დამკვირვებლების მონაწილეობას.**

**10. ყველა პოლიტიკური მოღვაწე და ძალა დაიცავს საქართველოში კანონებსა და საქართველოს კონსტიტუციას".**

ანუ, მარტივად ეს ნიშნავს, რომ თავად აშშ-მ შეადგინა სქემა, რომლის განხორციელებაც იქნება დასტური საქართველოს პრეზიდენტის მიერ არაერთგზის გაცხადებული პოზიციისა იმასთან დაკავშირებით, რომ **„იგი მხარს უჭერს დამოუკიდებელი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას საქართველოში."**

იმას, რომ ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც დეკლარირებული პრინციპების დაცვა მოუხდებათ, ცხადყოფს ამავე სქემაში შეტანილი შემდეგი ფრაზა: **„არჩევნების ჩატარების სქემას მონიტორინგს აშშ გაუწევს და საჯარო განცხადებებს გააკეთებს".**

წინასაარჩევნო დირექტივებთან ერთად, ჯეიმს ბეიკერმა თბილისში ჯორჯ ბუშის წერილი ჩამოიტანა, რომელშიც, კანცელარიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ისევ აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტის გზებზეა საუბარი. უშიშროების საბჭოს მდივნის ცნობით, აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტის „ახალი სქემაა" გათვალისწინებული ორიოდე დღის წინ საქართველოს პრეზიდენტის სახელზე მოსულ კონდოლიზა რაისის წერილში. ცხადია, წერილების დეტალები, ისევე, როგორც ახალი მიდგომის დეტალები, არ ზუსტდება. მართალია, კულუარებში საუბრობენ იმის შესახებ, რომ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში დახმარება, ანუ ამ კოზირის მიცემა ედუარდ შევარდნაძისთვის წინასაარჩევნოდ მისი თანხმობის მოპოვების ფასი შეიძლება ყოფილიყო, თუმცა ცხადია, რომ ამას არავინ ადასტურებს.

ჯეიმს ბეიკერის გუშინდელ პრესკონფერენციაზეც ითქვა, რომ შაბათს პრეზიდენტთან საუბარი აფხაზეთსაც შეეხო, თუმცა უფრო კონკრეტულად ამ საკითხზე საუბარი ბეიკერმა აშშ-ს ელჩს საქართველოში რიჩარდ მაილსს შესთავაზა, რომელსაც, პრინციპში, არაფერი ახალი არ უთქვამს – აღნიშნა, რომ **„აშშ ამ მიმართულებით, უკვე კარგა ხანია, მუშაობს და მეგობარი ქვეყნები ივლისში კვლავ შეიკრიბებიან ჟენევაში".**

ბეიკერი-შევარდნაძის საუბრის კიდევ ერთი თემა, თავად „ამერიკელი მეგობრის" ინფორმაციით, კორუფციასთან ბრძოლის საკითხები გახლდათ. გავრცელებული ინფორმაციით, ბეიკერი ამ საკითხშიც ისევე კატეგორიული გახლდათ, როგორც საარჩევნო მზადებასთან დაკავშირებით.

ასეთია ის „ხილული" შედეგები, რაც ჯეიმს ბეიკერის თბილისში ვიზიტს უკვე მოჰყვა. ვიზიტი უდავოდ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და საბოლოოდ ადასტურებს, რომ საქართველო საკმაოდ დიდი ხნით გახლავთ მოხვედრილი აშშ-ს სტრატეგიული ინტერესების სფეროში, ეს კი ნიშნავს, რომ ქვეყანამ თავისი ადგილის პოვნა მსოფლიო ცივილიზებულ რუკაზე, შესაძლოა, ბოლოს და ბოლოს, მოახერხოს.

ვიზიტმა და აშშ-ს მკვეთრმა დირექტივებმა, თავისთავად, გარკვეული არასრულფასოვნების შეგრძნებაც გააჩინა, თუმცა ბოლოდროინდელი აშკარად არანორმალური პოლიტიკური სიტუაციის ფონზე, ასეთი გამოსავალი დღეს, შესაძლოა, მართლაც საუკეთესო იყოს. ქართულმა ხელისუფლებამ და, მასთან ერთად, ოპოზიციის წარმომადგენლებმაც ხომ ბოლო თვეების მანძილზე დაადასტურეს, რომ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მისაღებად პოლიტიკური კულტურა თავად აშკარად არ ჰყოფნით.

ჯეიმს ბეიკერს გუშინ არ დაუსახელებია ის შესაძლო შედეგები, რაც შიდაქართულ სიტუაციაში აშშ-ს ჩაურევლობას შეეძლო გამოეწვია, თუმცა ათწლიანი „თავისუფლების" მქონე ქვეყნის მოქალაქეებს მათი წარმოდგენა, სავარაუდოდ, არ გაუჭირდებათ.

# სავალუტო ფონდი მთავრობას ვადას 15 აგვისტომდე აძლევს

პირველი გვერდიდან

ნაწილის 97 მილიონი ლარით შემცირება უნდა უზრუნველყოს. თუმცა, დაცულ მუხლებს, მათ შორის, პენსიებსა და ხელფასებს სეკვესტრი არ შეეხება. შემცირება სხვადასხვა უწყებების ადმინისტრაციულ ხარჯებზე თუ ცალკეულ პროგრამებზე აისახება. მთლიანი დეფიციტი 2003 წლის ბიუჯეტში 135 მილიონ ლარს შეადგენს, მისი დაძლევა ნაწილობრივ 97-მილიონიანი სეკვესტრით, ნაწილობრივ კი - საგადასახადო შემოსავლების გაზრდით მოხდება. ფინანსთა მინისტრის მირიან გოგიაშვილის განცხადებით, წლის მეორე ნახევარში საგადასახადო შემოსავლების გეგმა 30 მილიონი ლარით გაიზრდება. სახელმწიფო მინისტრის გიორგი ისაკაძის განცხადებით, ამ ფისკალური ეფექტის მისაღწევად საჭირო გახდება საგადასახადო ადმინისტრირების მკვეთრად გაუმჯობესება, ასევე საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა, კერძოდ, ახალი გადასახადების შემოღება ამა თუ იმ დაუბეგრავ სფეროებზე, მათ შორის - მშენებლობაზეც. საგადასახადო შემოსავლების გაზრდის მიზნით, აუცილებელი პირობა ხდება, აგრეთვე, საგანგებო ლეგიონისათვის საგამოძიებო უფლების მინიჭებაც. ამას გარდა, სამახსოვრო მემორანდუმის თანახმად, დადგენილ ვადამდე საქართველოს პარლამენტმა ყველა ის კანონი უნდა მიიღოს, რომელსაც სავალუტო ფონდი წინა რეკომენდაციებში მოითხოვდა. მათ შორისაა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები მისი გამარტივების მიზნით, და ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიღებული კანონის თანმდევი ცვლილებები სხვა კანონებში. ასევე უახლოეს დღეებში პარლამენტს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირების გეგმაც წარედგინება, რომელიც მან 15 აგვისტომდე უნდა დაამტკიცოს. რაც შეეხება ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდას, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის განცხადებით, ეს საკითხი ვადებში გაწერილი არ არის. როგორც ცნობილია, აღნიშნულ საკითხს საოლქო სასამართლო განიხილავს და ჯერჯერობით უცნობია, როდის გამოიტანს იგი გადაწყვეტილებას.

სახელმწიფო მინისტრის მოადგილის გიორგი ისაკაძის განცხადებით, აგვისტოს ბოლოს საქართველოს მთავრობის მცირერიცხოვანი დელეგაცია ვაშინგტონში გაემგზავრება და სავალუტო ფონდის მისიას ვალდებულებების შესრულების შესახებ ანგარიშს წარუდგენს. **„თუ დადებითი ტენდენციები გამოიკვეთება, მაშინ სავალუტო ფონდი დაასრულებს თავის მიმოხილვას ანუ ოფიციალურ დოკუმენტს საქართველოს შესახებ, რომლითაც იგი 10 ოქტომბერს დირექტორთა საბჭოში უნდა წარსდგეს. ამისათვის ყველა ვალდებულება შესრულებული უნდა იყოს. თუ არა და, მაშინ, პროგრამის განხილვა დეკემბერში დაიწყება,"** – აცხადებს გიორგი ისაკაძე.

დღეს დილით, სავალუტო ფონდის მოთხოვნით, კვლავ გაიმართება მთავრობის ეკონომიკურ გუნდთან შეხვედრა. გიორგი ისაკაძის ინფორმაციით, ამჯერად მისია საპენსიო და სახელფასო დავალიანებების ობლიგაციებით დაფარვის გეგმას განიხილავს.

# ქვეყანამ 90 მილიონ ლარამდე ფინანსური დახმარების მიღების შანსი დაკარგა

ექვს თვეში ცენტრალურმა ბიუჯეტმა მიიღო 9.34 მილიონი ლარის ოდენობის გრანტები, რაც, შესაბამისად, ექვსი თვის გეგმის 24 პროცენტს, ხოლო წლიური გეგმის 10 პროცენტს შეადგენს.

ივნისში ცენტრალურმა ბიუჯეტმა მხოლოდ 750 ათასი ლარის ოდენობის გრანტები მიიღო.

დეტალურად განვიხილოთ გრანტების წლევანდელი გეგმა და მისი რეალიზაციის შესაძლებლობები.

2003 წლის ბიუჯეტით დაგეგმილია 95.4 მილიონი ლარის ოდენობის გრანტების მიღება: ევროკავშირის სასურსათო უსაფრთხოების პროგრამის გრანტი - 39.6 მილიონი ლარი; ევროკავშირის განსაკუთრებული ფინანსური დახმარების გრანტი - 25.3 მილიონი ლარი; საინვესტიციო პროექტების გრანტები - 10.1 მილიონი ლარი; ჰოლანდიის მთავრობის გრანტი - 20.4 მილიონი ლარი.

ევროკავშირის განსაკუთრებული ფინანსური დახმარების გრანტის მიღება წელს უკვე გამორიცხულია. შესაბამისად, ცვლილებები უნდა შევიდეს 2003 წლის ბიუჯეტში - შემოსავლებს გრანტების ნაწილში უნდა დააკლდეს დაგეგმილი 25.3 მილიონი ლარი, ხოლო საგარეო ვალების დაფარვის ხარჯებს, კი 34.1 მილიონი ლარი.

ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მთავრობამ შეძლოს ეროვნული ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის დათანხმება და 8.8 მილიონი ლარის ოდენობის სხვაობის მიმდინარე ხარჯების დაფინანსებაზე მიმართვა, ამიტომ ეს თანხები გამოყენებული უნდა იქნას ე.წ თურქმენეთის ვალის დაფარვისა და მომსახურების პროგრამის დასაფინანსებლად.

ჯერ ვერ მივიღეთ მთავრობის განმარტება, თუ რატომ თქვა მან უარი მსოფლიო ბანკის სტრუქტურულ კრედიტზე და რა მოლაპარაკებები ჰქონდა ჰოლანდიის მთავრობასთან გრანტის შესახებ.

როგორც მოგეხსენებათ, ბიუჯეტმა უკვე მიიღო ევროკავშირის სასურსათო უსაფრთხოების გრანტის პირველი 2 მილიონი ევროს ოდენობის ტრანში. დანარჩენი ტრანშების მიღება დამოკიდებული იქნება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმების მიღწევასა და შემდეგ მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიმდინარეობაზე.

სანამ მთავრობის განმარტებებსა და მთავრობასა და სსფ-ს შორის მოლაპარაკებების შედეგებს ველოდებით, იძულებული ვართ გავიმეოროთ ჩვენი ადრინდელი პროგნოზი - ცენტრალური ბიუჯეტის გრანტების შემოსავლის დანაკლისი წლის ბოლომდე 80-81 მილიონ ლარს მიაღწევს, ხოლო თუ სსფ-სთან შეთანხმების მიღწევა და შეთანხმებული პირობების შესრულება მოხერხდება, დანაკლისი 65 მილიონ ლარამდე შემცირდება.

კვლავ უნდა გავიმეოროთ ჩვენი შეფასება მთავრობის უპასუხისმგებლობისა და უუნარობის გამო, ქვეყანამ დაკარგა შესაძლებლობა: 2003 წელს მსოფლიო ბანკისაგან მიეღო სტრუქტურული კრედიტი, დაახლოებით, 43 მილიონი ლარის ოდენობით და იგი სტრუქტურული რეფორმების მხარდასაჭერად და შესაბამისი ხარჯების დასაფინანსებლად მიემართა; 2003 წელს ჰოლანდიის მთავრობისაგან მიეღო 20.4 მილიონი ლარის ოდენობის გრანტი მსოფლიო ბანკის სტრუქტურული კრედიტის თანადაფინანსების სახით და მიემართა იგი ნებისმიერი დაგეგმილი ხარჯის, მათ შორის სოციალური ხარჯების დასაფინანსებლად; 2003 წელს მიეღო ევროკავშირისაგან განსაკუთრებული ფინანსური დახმარების გრანტი 25.3 მილიონი ლარის ოდენობით და დაეფარა ევროკავშირის მიმართ საგარეო ვალის ძირითადი თანხის ნაწილი 15.5 მილიონი ევროს ოდენობით. შესაბამისად, შეემცირებინა ევროკავშირის კრედიტის მომსახურების ყოველწლიური ხარჯი საშუალოდ 775 ათასი ევროს ოდენობით. 2003 წელს მიეღო ევროკავშირისაგან სასურსათო უსაფრთხოების გრანტი სრული ოდენობით, დაეფინანსებინა აგრარული პროგრამები და, შესაბამისად, შეეჩერებინა აგრარულ სექტორში წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ვარდნა და სოფლად მრავალი ჩვენი თანამოქალაქის გაღარიბება, დაეფინანსებინა უმწეოთა დახმარებები და განათლების პროგრამები და, შესაბამისად, მრავალი ჩვენი თანამოქალაქის უკიდურესი გაღარიბება თავიდან აეცილებინა.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** რუსეთი თავის შემადგენლობაში თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის მიღების საკითხის განხილვას არ აპირებს. "ჩვენ ვერ განვიხილავთ პრეზიდენტ კოკოითის განაცხადს სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში მიღების თაობაზე, რადგან იგი საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება და არალეგიტიმურია," – განაცხადა კრემლის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა. ***ინტერ-პრესი***

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება „დათვის" ლიდერი, „მხედრიონის" ერთ-ერთი დამფუძნებელი თემურ ხაჩიშვილი ოპოზიციის გაერთიანების ხელისშემშლელ მიზეზად პირად ამბიციებს მიიჩნევს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს უკრაინაში 13-19 ივლისს დაგეგმილ დსთ-ს ქვეყნების სახალხო პატრიოტული კავშირებისა და საბჭოთა ოფიცრების კავშირების ყრილობებში. ერთიანი კომპარტიის ლიდერის პანტელეიმონ გიორგაძის თქმით, ამ ფორუმებში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან 10-კაციანი დელეგაცია გაემგზავრება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების ჩამოყალიბების მე-11 წლისთავთან დაკავშირებით, დღეს ფოთში სამხედრო აღლუმი და საზეიმო ღონისძიება გაიმართება. ***პრაიმ-ნიუსი***

■ ■ ■

**თბილისი.** თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ედვარდ კოკოითის განცხადებას სამხრეთ ოსეთის რუსეთთან მიერთების სურვილის თაობაზე "გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი გოკა გაბაშვილი შიდა კონფლიქტებთან მიმართებაში საქართველოს ხელისუფლების "სუსტ და ცუდ" მუშაობას უკავშირებს. ***ინტერ-პრესი***

■ ■ ■

**თელავი.** ყვარელში უახლოეს ხანში რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ნანა პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბი გაიხსნება. რაიონის პრობლემების გასაცნობად გუშინ ყვარელში ჩასულ ნანა პატარკაციშვილს სახელისუფლებო ბლოკმა "ახალი საქართველოსთვის" და "ახალი მემარჯვენეების" რაიონულმა ორგანიზაციამ საარჩევნო კამპანიაში მხარდაჭერა აღუთქვეს. ***ინტერ-პრესი***

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის ოპოზიციურ პარტიებს „ამცახარასა" და „აიტაირას" შორის დაპირისპირება უკვე აშკარა გახდა. დაპირისპირების ინიციატორი „აიტაირა" გახდა. უთანხმოების მიზეზი კი „პრეზიდენტი" ვლადისლავ არძინბაა. „აიტაირა" რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას ითხოვს. „ამცახარა" კი ხელისუფლების „ხავერდოვანი" შეცვლის მომხრეა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოფელ სააკაძეში, სადაც სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურს სასწავლო ცენტრი აქვს მოწყობილი, 5 ივლისს, საღამოს, 22 წლის რიგითი, გიორგი გოგიძე წყალსაცავში დაიხრჩო. უბედური შემთხვევის ვერსიას ქვემო ქართლის სამხედრო პროკურატურა უფრო მეტად იმის გამო ეყრდნობა, რომ გარეგნული დათვალიერებისას გარდაცვლილს ძალადობის ნიშნები არ აღმოაჩნდა. გიორგი გოგიძე კარატეში ევროპის ჩემპიონი და შავი ქამრის მფლობელი იყო. **ექსპრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 4 ივლისს პოლიციამ დააპატიმრა ავთანდილ გოგინაშვილი, თემურ ხარისთავაშვილი და ხათუნა ოქროსიაშვილი, რომლებმაც ქუთაისელი ნინო შაშიაშვილი, მისი მეუღლე, რუსეთის მოქალაქე ჰუსეინ ირემაძე და თბილისელი ნანა ალექსანდროვა დიდი დიღმის დასახლებაში, ხარისთავაშვილის ბინაში მოტყუებით აიყვანეს და მათ მკვლელობის მუქარით 5000 დოლარს სძალავდნენ. **ექსპრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ადვოკატების გამოცდები, სავარაუდოდ, წლეულს ოქტომბერში ჩატარდება.

გამოცდების ჩატარების წესებსა და დეტალების შესახებ იუსტიციის საბჭოში 22 ივლისს სპეციალური პრესკონფერენცია გაიმართება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ენგურჰესის" და სემეკის დავის განხილვაზე, რომელიც საოლქო სასამართლოში დღეს გაგრძელდება, მოსარჩელე მხარე ენერგეტიკის და ფინანსთა მინისტრების მოწვევის შესახებ შუამდგომლობას დააყენებს. წინასწარი ინფორმაციით, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა სასამართლოში მისვლაზე უარს არ იტყვის. მივა თუ არა პროცესზე ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი, ჯერჯერობით უცნობია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეკონომისტების ექსპერტთა ჯგუფი მომავალ კვირას პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს შეხვდება და ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსვლის თაობაზე გარკვეულ რეკომენდაციებს მიაწვდის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქვეყნის პრეზიდენტის დავალებით, ანტიკორუფციული საკოორდინაციო საბჭო საქართველოში თურქეთის და ბრიტანეთის ავიაკომპანიებისათვის ფრენის ლიცენზიების შეჩერების საკითხს შეისწავლის. ანტიკორუფციული საბჭო შეისწავლის, რომელი კონკრეტული პირების ხელშეწყობით შეიქმნა რთული მდგომარეობა ქვეყნის ავიაბაზარზე და ამ პირების თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებს. ეს ქვეყნის პრეზიდენტის მიერ ანტიკორუფციული საბჭოს ექვსი ახალი წევრის დამტკიცების შემდეგ მოხდება, რაც ამ დღეებში იგეგმება. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ჩეჩნეთში კიდევ ერთი რუსული ვერტმფრენი ჩამოვარდა

გუშინ ჩეჩნეთში კიდევ ერთი სამხედრო ვერტმფრენი "მი-8" ჩამოვარდა, რის შედეგადაც ბორტზე მყოფი ოთხი რუსი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, ხოლო თერთმეტი დაიჭრა. რუსეთის შეიარაღებული ძალების ვერტმფრენმა კატასტროფა დასახლებულ პუნქტ ნოვოგროზნენსკში განიცადა. ინციდენტის მიზეზები ჯერჯერობით დაუდგენელია, თუმცა რუსეთის არმიის წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ "მი-8" ტექნიკურად გაუმართავი იყო. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, "მი-8" აფრენიდან რამდენიმე წამში ჩამოვარდა.

## დააკავეს გაქცეული პატიმარი

გუშინ, გამთენიისას, ბორჯომის მისადგომებთან სროლა ატყდა. მიზეზი სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ბოლო ხანებში გაქცეული პატიმრებიდან ერთ-ერთის ლაშა ჯავახაძის დაკავების ოპერაცია გახლდათ. ჯავახაძე 31 მაისს მე-5 საპყრობილიდან სხვა თხუთმეტ პატიმართან ერთად გაიქცა. ახალციხელი ჯავახაძე ოპერატიული ინფორმაციის მიღების საფუძველზე იმ დროს დააკავეს, როცა ის ახალციხიდან ბორჯომში ტაქსით მიდიოდა. გაქცეულმა პატიმარმა დაკავებისას სამართალდამცველებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა, სროლისას არავინ დაზარალებულა. ჯავახაძეს გადაჭრილი თოფი ჩამოართვეს.

ლაშა ჯავახაძე, უკანასკნელი 2 თვის განმავლობაში სასჯელაღსრულებითი დაწესებულებიდან გაქცეული 49 პატიმრიდან მეცხრეა, ვის კვალსაც პოლიციამ მიაგნო. აქედან 6 პატიმარი საპატიმრო ადგილებზე უკვე დააბრუნეს, სამი კი, შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის გამო, ლიკვიდირებულია.

*ექსპრესი*

## დამნაშავეები შსს-ს სამსახურში?

**„საპატიმრო ადგილებიდან გაქცევები ჯერ არ შეწყვეტილა. მაქვს ინფორმაცია, რომ პატიმართა გაქცევები ქვეყანაში დესტაბილიზაციისა და საპარლამენტო არჩევნების გადადებისთვის ეწყობა“**, — აცხადებს პარლამენტარი ელენე თევდორაძე.

მისი თქმით, აღნიშნული ინფორმაცია მან „მეტად საინტერესო შენობაში“ მოისმინა. არჩევნების გადადება სახელისუფლებო ბლოკს ხელს აძლევს, რადგან იცის, რომ დამარცხდება და დროს აჭიანურებს.

**„პატიმართა გაქცევები კარგად არის ორგანიზებული. მას სხვა მიზანიც აქვს; სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შს სამინისტროს როლის გაძლიერება“**, — აცხადებს თევდორაძე. მისი თქმით, შინაგანი ჯარის მიერ საპატიმროების გარე პერიმეტრის დაცვით იუსტიციის სამინისტრო შს სამინისტროს „კარს ნაწილობრივ უღებს“.

გაქცეულ პატიმართა დასაკავებლად პოლიციის გააქტიურების კომენტირებისას თევდორაძემ განაცხადა, რომ მას არა აქვს იმედი, განსაკუთრებით მძიმე დამნაშავეების, ე.წ. „მაყურებლებისა“ და „ავტორიტეტების“ დაკავებისა. პოლიციის გააქტიურება, პარლამენტარის თქმით, ზემოთ ნახსენებ „კარის გაღებას“ უკავშირდება.

*მედია-ნიუსი*

## შეიარაღებული თავდასხმა გორის რაიონში

გუშინ, გამთენიისას, გორის რაიონის სოფელ ტინისხევში ყაჩაღური თავდასხმა მოხდა, რაც მსხვერპლით დასრულდა.

დაახლოებით, შვიდი შეიარაღებული, სამხედრო ფორმაში ჩაცმული ნიღბიანი თავს დაესხა იორამაშვილების ოჯახს. თავდასხმის დროს სახლში იყვნენ რევაზ იორამაშვილი, მისი ორი ქალიშვილი და ერთი მცირეწლოვანი შვილიშვილი.

ოჯახის უფროსმა, 56 წლის რევაზ იორამაშვილმა ყაჩაღებს სანადირო, ორლულიანი თოფიდან ესროლა და ერთი-ერთი მათგანი დაჭრა. თუმცა, ბოროტმოქმედებმა იორამაშვილს ავტომატიდან და პისტოლეტიდან ცეცხლი გაუხსნეს და იგი ადგილზევე გარდაიცვალა. თავდამსხმელებმა იორამაშვილების საცხოვრებელ სახლში ხელყუმბარა ააფეთქეს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს გარდაცვლილის ქალიშვილს და გაურკვეველი მიმართულებით მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილიდან, დაახლოებით, 500 მეტრში გარდაცვლილი თავდამსხმელის გვამი აღმოაჩინეს. სავარაუდოდ, დაჭრილი გზაში გარდაიცვალა და თავდამსხმელებმა იგი მიატოვეს. მისი ვინაობა, ჯერჯერობით, დაუდგენელია. გორის რაიონის პროკურორის, რომან გვიშიანის ინფორმაციით, გარდაცვლილ ბოროტმოქმედს მარჯვენა მკლავზე რუსულენოვანი სვირინგი აქვს, მაგრამ იგი რუსია, ქართველი თუ ოსი - ჯერჯერობით დაუდგენელია. პროკურორი არ გამორიცხავს, რომ თავდამსხმელები ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მოქმედი შერეული კრიმინალური დაჯგუფების წევრები იყვნენ. უცნობია ასევე, თუ რა მიზნით მოხდა იორამაშვილების ოჯახზე თავდასხმა, რადგან ოჯახის ერთადერთი შემოსავალი სოფლის მეურნეობაა.

შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ნასროლი ვაზნები. მიუხედავად იმისა, რომ თავდამსხმელების შესახებ, ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი, გორის პროკურორს იმედი აქვს, რომ უახლოეს მომავალში მათ ვინაობას დაადგენენ.

# ტონი ბლერი „ბიბისის" უპირისპირდება

ლევან ღირსიაშვილი

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა განაცხადა, რომ ის ძალზე აღაშფოთა სააგენტო "ბიბისის" ინფორმაციამ იმასთან დაკავშირებით, რომ ბრიტანეთის ხელისუფლებამ ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის შესახებ მონაცემები გააზვიადა.

ბრიტანული გამოცემა "ობზერვერისათვის" მიცემულ ინტერვიუში "ბიბისის" აღნიშნულ ინფორმაციას ბლერმა მისი რეპუტაციის წინააღმდეგ მიმართული გამოხდომა უწოდა. "ამაზე სერიოზული ბრალდება პრემიერ-მინისტრის მისამართით არ შეიძლება იყოს," - აღნიშნა ტონი ბლერმა. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ "ბიბისის" ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

საკითხი იმდენად მწვავედ დგას, რომ გუშინ კორპორაციის დირექტორთა საბჭომ "ბიბისის" გენერალური დირექტორის გრეგ დაიკის მოხსენების მოსმენა მოითხოვა. ხოლო დღეს კი, თემთა პალატის სპეციალურმა კომისიამ, რომელიც ერაყის შესახებ სამთავრობო დოსიეში მოყვანილ ფაქტებს იძიებს, პარლამენტს ანგარიში უნდა წარუდგინოს.

გაზეთ "სანდი ტელეგრაფის" ცნობით, დირექტორთა საბჭოზე "ბიბისის" გენერალური დირექტორი გრეგ დეიკი აპირებს განაცხადოს,



ტონი ბლერი "ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციამ აღაშფოთა.

რომ კომპანიას ერაყული დოსიეს შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაციის უარყოფის უფლება არ აქვს.

უნდა ითქვას, რომ სააგენტო "ბიბისიმ" ამ საკითხისადმი მიძღვნილი ინფორმაცია საკმაოდ სერიოზულ წყაროზე დაყრდნობით გაუშვა. ეს წყარო კი დიდი ბრიტანეთის ლეგენდარულ საგარეო დაზვერვის სამსახურის – "მი-6"-ის მაღალჩინოსანია, რომელმაც სააგენტოს პირდაპირ განუცხადა, რომ მთავრობის წარმომადგენელმა დაზვერვის მიერ წარდგენილი მოხსენება ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის შესახებ საკმაოდ გააზვიადა. კერძოდ, მთავარი ბრალდებული დოსიეს გაზვიადებაში, პრემიერ-მინისტრის თანშემწე ელესტერ კემპბელია. დაზვერვის ინკოგნიტო მაღალჩინოსანი აცხადებს, რომ სწორედ ელესტერ კემპბელმა ჩაამატა დაზვერვის მოხსენებაში ის ფაქტი, რომ სადამ ჰუსეინს ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის ამოქმედება 45 წუთის განმავლობაში შეუძლია. თავის მხრივ, კემპბელმა "ბიბისი" სიცრუის გავრცელებაში დაადანაშაულა და ბოდიშის მოხდა მოითხოვა, რაზეც კომპანიამ კატეგორიული უარი განაცხადა.

**"ჩვენი წყაროს ავტორიტეტის გათვალისწინებით, საჭიროდ ჩავთვალეთ მისი განცხადება საზოგადოებისათვის ცნობილი გამხდარიყო,"** - განაცხადა "ბიბისის" ახალი ამბების ხელმძღვანელმა რიჩარდ სემბრუკმა.

# გუშინ პაკისტანის ტერაქტის შესაძლო ორგანიზატორები დააპატიმრეს

პირველი გვერდიდან

ორმა ტერორისტმა ავტომატური იარაღიდან მლოცველებს ცეცხლი გაუხსნა. ტერორისტები ათი წუთის განმავლობაში ცხრილავდნენ მეჩეთში მყოფ ხალხს. ათი წუთის შემდეგ კი, მესამე ტერორისტმა მკერდზე დამაგრებული ასაფეთქებელი მოწყობილობა მოქმედებაში მოიყვანა. თუმცა, მანამდე მეჩეთში მყოფმა დაცვამ საპასუხო ცეცხლი გაუხსნა კამიკაძეებს. სროლის დროს, ერთი ტერორისტი დაიჭრა და ასაფეთქებელი მოწყობილობის ამოქმედებას შეეცადა, თუმცა დაცვამ მისი მოკვლა მოახერხა. თვითმხილველები აცხადებდნენ, რომ მესამე კამიკაძემ დეტონატორი სწორედ ამის შემდეგ აამოქმედა.

ქალაქში მასობრივი არეულობა დაიწყო. შიიტი მუსულმანების ჯგუფებმა მაღაზიების, ბანკების, ავტომობილების და მოტოციკლების დალეწვა და ძარცვა დაიწყეს. შიიტები იმ საავადმყოფოსაც მიადგნენ, სადაც მეჩეთში დატრიალებული ტრაგედიის შედეგად დაჭრილი ხალხი გადაიყვანეს. შიიტები საავადმყოფოს ექიმებს უმოქმედობაში ადანაშაულებდნენ და ბრალად დებდნენ, რომ ექიმებს დაჭრილი შიიტების გადარჩენა არ უნდოდათ. ამის შედეგად, საავადმყოფოს შენობაც საგრძნობლად დაზიანდა. საავადმყოფოს ტერიტორიიდან ათასობით დემონსტრანტმა შიიტმა სისხლის ასაღებად სუნიტურ სემინარიას მიაშურა, სადაც იმ მომენტში 360 მოწაფე იმყოფებოდა. სემინარიიდან ბავშვების სწრაფი ევაკუაცია დაიწყო, თუმცა ყველას უვნებლად გამოყვანა ვერ მოხერხდა. ცნობილი გახდა, რომ 12 წლის ბიჭს დემონსტრანტებმა გაზი შეასხურეს. მოწამლული ბავშვი ამჟამად საავადმყოფოში იმყოფება.

ქალაქში ხელისუფლებამ არმიის ნაწილები შეიყვანა. პაკისტანის მთავრობა ირწმუნება, რომ ვითარება ამჟამად კონტროლს ემორჩილება. თუმცა, ქვეტაში დახურულია სკოლები, მაღაზიები და ჯიხურები, მოქმედებს კომენდანტის საათი.

პარიზიდან დაბრუნებულმა, პაკისტანის პრეზიდენტმა ფერვეზ მუშარაფმა დაღუპულთა და დაჭრილთა ოჯახებს მიუსამძიმრა და პირობა დადო, რომ დამნაშავეები ნაპოვნი და დასჯილები იქნებიან. როგორც ჩანს, გენერალმა მუშარაფმა თავისი პირობის შესრულება დაიწყო. დეტალები დაპატიმრებული ეჭვმიტანილების შესახებ, ჯერჯერობით, უცნობია. არც ერთ რადიკალურ რელიგიურ დაჯგუფებას ეს საშინელი ტერაქტი თავს თავზე არ აუღია.

# ცივი იარაღის ტარება არ ისჯება

თამარ კაციტაძე

*სულ რამდენიმე დღეა, რაც ძალაში შევიდა "საქართველოს კანონი იარაღის შესახებ". მას შემდეგ ფეხით მოსიარულე მოქალაქეებს, განსაკუთრებით - ახალგაზრდა ვაჟებს, პოლიციელები (ძირითადად, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილნი) აჩერებენ და ცივი იარაღის მოთხოვნის მიზეზით, ყოველგვარი საბუთის გარეშე, ჩხრეკას უტარებენ. შესაბამისად, მოქალაქეთა მხრიდან პოლიციის მიმართ გაიზარდა როგორც სხვადასხვა სახის პრეტენზიები, ასევე ქრთამის გამოძალვის ბრალდებებიც.*

**"ორი დღის წინ ქუჩაში პოლიციამ გამაჩერა და ყოველგვარი ახსნის გარეშე ჩხრეკა დამიწყო. ჯიბეში მართლაც მქონდა სახსნელიანი დანა. პოლიციელმა მითხრა: ახალი კანონი გამოვიდა, ცივი იარაღის ტარება იკრძალება. თუ გინდა, რომ პრობლემები არ შეგექმნას, 500 დოლარი ჩამოიტანეო. თავს ხომ არ დავაჭერინებდი, ჩავიტანე ფული. სოლოლაკში ჩემს დღეში უამრავი ადამიანი აღმოჩნდა,"** – გვითხრა ერთ-ერთმა პიროვნებამ.

სამართალდამცველთა მხრიდან ამგვარი დამოკიდებულება მოსახლეობაში, რომელიც თითქმის ათი წლის განმავლობაში შეეჩვია იმას, რომ ცივი იარაღის ტარება კანონით ნებადართულია და რომლისთვისაც ჯერაც არ არის ცნობილი, რომ ახალი კანონი ამოქმედდა, ბევრ გაუგებრობას იწვევს. საქმეს ისიც ართულებს, რომ იარაღის შესახებ კანონზე ინფორმაციას ბოლომდე არც ის პოლიციელები ფლობენ, რომლებსაც მოსახლეობიდან ცივი იარაღის ამოღება აქვთ დავალებული.

**"იარაღის შესახებ ახალი კანონის მიღების აუცილებლობა გამოიწვია იმან, რომ თითქმის ათი წლის წინ მიღებული "კანონი ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ", სხვა ტიპის იარაღით სარგებლობის რეგულირებას არ ითვალისწინებდა, რაც გარკვეულ სიძნელეებს ქმნიდა. თუმცა, ამ ეტაპზე ცივი იარაღის ტარებისთვის არანაირი სანქცია არ არის დაწესებული. დღეს მოქმედი კანონი მხოლოდ იარაღის (დანის) ჩამორთმევას ითვალისწინებს. ანუ, პროფილაქტიკური ხასიათი აქვს. იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი ღონისძიება ეფექტს არ გამოიწვევს, მომავალში შესაძლებელია გარკვეული ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი სანქციაც დაწესდეს. მარგამ ამ ეტაპზე, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, პოლიცია ვალდებულია, კანონის შესაბამისად ჩატარებული დათვალიერებისას, პიროვნებას ჩამოართვას ცივი იარაღი. სამართალდამცველის და დანის მატარებელი მოქალაქის ურთიერთობაც ამით მთავრდება,"** – განმარტა ჩვენთან საუბარში იარაღის შესახებ კანონის ავტორმა, იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედებითი დეპარტამენტის უფროსმა გიორგი გოგიბერიძემ.

გარდა სანქციებისა, ახალმა კანონმა კიდევ ერთი გაურკვევლობა გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ კანონში ზოგადად ჩამოთვლილია ცივი იარაღის სახეობები, რომელთა ტარებაც კანონით აკრძალულია - "კნოპკიანი" დანები, ბებუთები, ქარქაშიანი დანები, ცივი სასროლო იარაღი – არბალეტი, ე.წ. კასტეტი და ა. შ. მხოლოდ აღნიშნული კრიტერიუმით თუ ვიმსჯელებთ, როგორც იურისტები ირწმუნებიან, არ არის გამორიცხული, რომ სამართალდამცველთა მახეში გაებას დიასახლისი, რომელმაც სამზარეულოს დანა შეიძინა. ამას თავად კანონის ავტორიც აღიარებს.

**"კანონში ყველაფრის დაწვრილებით დაწერა უხერხულია. ამიტომ ახლა ვმუშაობთ კანონქვემდებარე აქტებზე, რომელსაც პრეზიდენტი დაამტკიცებს. იარაღის სახელმწიფო კადასტრში ზუსტად განისაზღვრება, რა ტიპის ცივ იარაღს მოიცავს კანონი. ის განისაზღვრება სიგრძის და მოქმედების შესაძლებლობის პარამეტრით,"** – აღნიშნა გოგიბერიძემ.

ერთი სიტყვით, კანონი იარაღის შესახებ, ჯერჯერობით, ბოლომდე დახვეწილი არ არის, მაგრამ იგი უკვე ძალაშია შესული და მავანთათვის აშკარად დამატებითი შემოსავლის წყაროდაც გადაიქცა. იმათ კი, ვისაც ახალმა კანონმა პრობლემები შეუქმნა, გვინდა ვურჩიოთ (მიუხედავად იმისა, რომ ქართველ პოლიციელებთან ნაკლებად ჭრის) – იცოდეთ კანონი და იქნებით დაცული.

# „დაბნელდა ქვეყანა და ქურდები ყველას თავზე დააჭდნენ"

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

იმერეთში კონტროლის პალატის კომპლექსური შემოწმების ჩატარება 2001 წლის ბოლოს, ქუთაისში პრეზიდენტის ვიზიტისას გადაწყდა. შესამოწმებელი ობიექტების სია კი პრეზიდენტს თავად მხარის რწმუნებულმა მიაწოდა. შევარდნაძემ შესაბამისი ბრძანებულება 2002 წლის 14 იანვარს გამოსცა, რომლის მიხედვითაც, სხვა საკითხებთან ერთად, კონტროლის პალატას, იმერეთის რამდენიმე ობიექტის პრივატიზების პროცესში დაშვებული დარღვევებიც უნდა შეესწავლა.

კონტროლის პალატის მიერ შედგენილ შემაჯამებელ დოკუმენტში უამრავი დარღვევა დაფიქსირდა. მაკონტროლებლებმა ძირითადი აქცენტი საწარმოთა საწესდებო კაპიტალის ხელოვნურად შემცირებაზე გააკეთეს. დასკვნის თანახმად, შემოწმებულ 10 საწარმოს საწესდებო კაპიტალი ხელოვნურად აქვს შემცირებული, რითიც სახელმწიფომ ნახევარი მილიონი დოლარის ზარალი მიიღო. **"სააქციო საზოგადოება "ვაზისაში", "ქუთაისში", ქუთაისის ღვინის ქარხანასა და ფირმა "აიაში" ათობით ათასი ამერიკული დოლარის ღირებულების ქონების დამალვას ჰქონდა ადგილი. გარდა ამისა, დარღვეულია პრივატიზების ჩატარების წესები, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ საწარმოთა შესყიდვის პროცესში დაწესებული აუცილებელი პირობები არ შესრულებულა. რაც ყველაზე საოცარია, გამოვლინდა ფაქტები, რომლებითაც შესყიდული ქონების რეალური ღირებულების გადახდა მყიდველის მხრიდან არ დასტურდება",** - აცხადებს კონტროლის პალატის დასავლეთ საქართველოს დეპარტამენტის თავმჯდომარე თამაზ კალანდაძე. კონტროლის პალატამ ასევე გამოავლინა ფაქტები, როდესაც პრივატიზებამდე საწარმოს ორ ნაწილად ყოფდნენ. ამ გზით საწარმოს ქონების ძირითადი ნაწილი კერძო საკუთრებაში გადადიოდა, შემდეგ კი სახელმწიფოს ხელში სიმბოლურად დარჩენილ საამქროს მთელ დავალიანებას გადააწერდნენ. აღნიშნულის მაგლითად კალანდაძემ ფირმა "ვაზისა" (თერჯოლის შამპანურების ქარხანა) დაასახელა. სადაც ბიუჯეტისადმი 20-მილიონიანი დავალიანება ქარხნის 15 ათას ლარად შეფასებულ საამქროს დაეკისრა. კონტროლის პალატას არ ჩამორჩა შაშიაშვილიც. რწმუნებულის განცხადებით, თერჯოლის შამპანურის ქარხანა ტარიელ ონიანს, ემზარ კვიციანს და ბონდო შალიკიანს ეკუთვნის. **"მე გული მწყდება იმაზე, რომ ქვეყანაში ასეთი ფაქტები ხდება. როდესაც მნიშვნელოვანი ობიექტი ამ ძალების ხელში აღმოჩნდება, ეს ქვეყნის ტრაგედიაა"**, - აცხადებს შაშიაშვილი.

კონტროლის პალატის მიერ ზესტაფონში, წიდის მოპოვების სფეროში აღმოჩენილ დარღვევებსაც შაშიაშვილი "კანონიერ ქურდებს" უკავშირებს.

**"ზესტაფონში პატარა მაღაზიაა, რომელსაც გარედან რკინეულობის მაღაზიის წარწერა აქვს. აღნიშნული ობიექტის კარის გამოღება მეტად რთულია, მაგრამ თუ გამოაღეთ, გვირაბს დაინახავთ, რომელიც სილიკო-მანგანუმის მოსაპოვებელ ტერიტორიაზე ასეულ მეტრობით მანძილზე გადის. ხალხი იქ საშინელ მონურ შრომას ეწევა, ჩემი ინფორმაციით, იქ რამდენიმე ბავშვია გარდაცვლილი, ყოველ კვირაში კი ერთი ადამიანი სახიჩრდება".** - ფირმა სახელმწიფოს კუთვნილებაა, თუმცა, შაშიაშვილის განმარტებით, წიდის მომპოვებელი ყველა ობიექტი ორი ქურდის საკუთრებაა. რწმუნებული მათ ვინაობას არ ასახელებს, მაგრამ ჩვეულ სტილში აცხადებს: **"დაბნელდა ქვეყანა და ქურდები ყველას თავზე დააჯდნენ".**

*პრესომბუდსმენი*

## მომავალ ორშაბათამდე

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ნოდარ ლადარია

ამ რამდენიმე დღის წინათ ხელში იტალიური გაზეთი, La Repubblica ჩამივარდა. იმწამსვე ყუაში ჩავავლე ხელი და წვალება დავუწყე — იმდენად გამიჯდა გონებაში იდეა, რომ ყველა გაზეთი A და B ბლოკებისაგან უნდა შედგებოდეს. ახლა უკვე, როცა „24 საათიც" ზაფხულის, ასე ვთქვათ, „ლაით" რეჟიმში გადავიდა, ორი ბლოკი, რომელთა შორის განსხვავებათა გარშემო მე ერთი წლის წინათ არაერთი შუბი დამიმტვრევია, მოულოდნელად ჰარმონიულად შეერწყა ერთმანეთს. რალაცნაირი გამჭვირვალე გახდა ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს შორის კავშირი — მზერა მატერიალური დაბრკოლების გარეშე გადადის შინა პოლიტიკიდან ეკონომიკაზე, ეკონომიკიდან უცხოეთზე, უცხოეთიდან კულტურაზე, კულტურიდან სპორტზე და თხისა და ვენახის ცნობილი ლექსისა არ იყოს, კომპაქტურად და ლაკონურად იხსნება საგანთა და მოვლენათა შორის კავშირი.

თუმცა, ხილულობა და გამჭვირვალობა ყველას როდი მიაჩნია ღირსებად. აი, 30 ივნისის ბრიფინგზე პრეზიდენტ **ედუარდ შევარდნაძის** მიერ გამოთქმული ზოგიერთი აზრის ფორმა (**ვერიკო თევზაძე**, 1 ივლისი, *პრეზიდენტს არ სურს, ოპოზიციასთან მისი შეხვედრა გამჭვირვალე იყოს*): საარჩევნო კოდექსის უცვლელობაში პრეზიდენტი **„ვერავითარ ტრაგედიას ვერ ხედავს"**, ოპოზიციასთან შეხვედრას რაც შეეხება, იგი **„ამის მიზანშეწონილობას ვერ ხედავს"**. საინტერესოდ დაუკავშირდა ამ ფორმაში ჭეშმარიტების ორი ასპექტი — ფაქტობრივი და სულიერი. ფაქტობრივი ისაა, რომ პრეზიდენტი **ვერ ხედავს**. სულიერი თვალსაზრისით კი (ნუ გვეგონება, რომ ეს სიტყვა მაინცდამაინც რელიგიასთანაა დაკავშირებული) პრეზიდენტის ამგვარი გამონათქვამები აშკარად და ცალსახად მათდამია მიმართული, ვისაც ჰგონია, რომ *შევარდნაძე რასაც ვერ ხედავს, ის არც არსებობს*. შეგვიძლია დავსვათ შეკითხვა: არსებობს კი ამგვარ სულიერ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები? მეეჭვება. პრეზიდენტს კი არ ეეჭვება — რას იზამ, აკი თვითონვე აღიარა, რომ **ვერ ხედავს**.

*ხედვასა* და *არხედვას* შორის არსებითი წინააღმდეგობის დაძლევას იმავე 1 ივლისის ნომერში *წასვლისა* და *მოსვლის* მოულოდნელი გაიგივება ემატება (**სოფო ბუკია**, *„მხედრიონი პოლიტიკიდან მიდის"*). პოლიტიკა და საარჩევნოდ ფორმალური რეგისტრაცია ჩვენში, როგორც ეტყობა, ერთი და იგივე ჰგონიათ. მაგრამ დავუკვირდეთ ორ განცხადებას: მხედრიონელები **„არასოდეს იმეგობრებენ ფაშისტურ, რევანშისტულ და პოპულისტურ ძალებთან, რომლებიც თავს ოპოზიციად ასაღებენ"**; მეორე კი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის აწ უკვე ყოფილი შეფის, **გიგლა აგულაშვილის** წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებებია, რომელთა კონკრეტულ შინაარსს უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს. მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ორივე განცხადება არსებითად პოლიტიკურია. „წასვლა" კი მხოლოდ მოსვლის ერთ-ერთი ხერხი აღმოჩნდა, რომლის განხორციელების საშუალებას ნებისმიერ დაჯგუფებას ჩვენი მოსახლეობის პოლიტიკური გაუნათლებლობა აძლევს.

გაზეთი არა მარტო კავშირებს უნდა ხსნიდეს, არამედ წინააღმდეგობებსაც აშიშვლებდეს. შეიძლება ვცდები, მაგრამ მე ამ სტატიას ასე დავასათაურებდი: „მხედრიონი პოლიტიკაში მოდის". და იმის ახსნას შევეცდებოდი, თუ რატომ უნდა გავიგოთ პრესკონფერენციაზე ნათქვამი უკუღმა. არა, ნამდვილად ვცდები და სოფო ბუკიასაც არ გადაუხვევია საინფორმაციო სამსახურის წმიდათაწმიდა კანონისაგან: ფაქტი და კომენტარი ერთმანეთისგან გამიჯნული უნდა იყოს. ასე რომ, სტატია ფაქტის მომწოდებლად აღიქვით, ხოლო ჩემი პუბლიკაციის ეს ნაწილი — კომენტარად. დანარჩენი კი რიტორიკაა.

კიდევ ერთმა დაპირისპირებულმა სიტყვიერმა წყვილმა გაიელვა გასულ კვირას ჩვენი გაზეთის ფურცლებზე: **თამარ ხორბალაძე**, 3 ივლისი, *რევოლუციური გარდაქმნები რევოლუციის გარეშე*. სლოგანი პარლამენტის თავმჯდომარეს, **ნინო ბურჯანაძეს** ეკუთვნის. წინააღმდეგობათა შეფარდება კარგად, სწორედ რომ ინტელიგენტურადაა გათვლილი: ერთი მხრივ, გარემომცველი სიმყრალე მართლაც რომ რევოლუციას ითხოვს, მეორე მხრივ — ნამდვილი რევოლუციის აჩრდილი ყველაზე მეტად სწორედ ჩამთბარ და ღვაწლმოსილ ინტელიგენციას უნდა აშინებდეს. ცხოვრება შეგეცვლებათ, დაფნები შეგრჩებათ — ჰპირდება მათ პარლამენტის თავმჯდომარე ამ სლოგანით.

მაგრამ საკითხი გაცილებით უფრო ღრმაა: რამდენად მოქმედებს დღეს დელია ფიალოს მრავალსერიანი ცხოვრებით გატაცებულ „გარემოვაჭრეზე" რუსთაველის თეატრის ლონდონური გასტროლების შორეული ექო? ან ყოველ წელს გერმანიაში ავტომობილის ჩამოსაყვანად ათასგვარი ფათერაკებით მოგზაურ ქართველზე — სიტყვა „ლონდონი"? ცხოვრება ისედაც შეიცვალა და ეს ცვლილება, როგორც ყველგან, ასევე საქართველოშიც, ყველაზე მეტად გაბატონებულ ღირებულებებზე ისახება, რომელთა შესახებ როგორც ხელისუფლების, ასევე ღვაწლმოსილი ინტელიგენციის წარმომადგენლებს ხშირად საკმაოდ მიახლოებითი წარმოდგენა აქვთ. ამიტომაც **ბესო გულაშვილის** ფოტო, რომელზედაც ნინო ბურჯანაძე მის მიერ გაერთიანებული საქართველოს შეხმატკბილებულ ნაწილთანაა გამოსახული, ვინმე საქმეში ჩაუხედავმა შეიძლება ასეც დაასათაუროს: „პარლამენტის თავმჯდომარის შეხვედრა „მესამე ასაკის" წარმომადგენლებთან".

სამწუხაროა. ჩვენს ინტელიგენციას უკვე დაუდგა მენოპაუზა (კლიმაქსის შემდგომი პერიოდი), იგი უკვე ველარ იმშობიარებს. გონიერი სიტყვის მთქმელი საჯარო პირების საკმაო რაოდენობა კი, თუმც არსებობს, სოციალურ ძალად ვერ ჩამოყალიბდა იმის გამო, რომ მათ ვიღაც ნაძირალები წამდაუწუმ ხან „გრანტიჭამიებად" ნათლავენ და ხან „ამერიკის აგენტებად". სამწუხაროა. რადგან პარლამენტის თავმჯდომარე, ნინო ბურჯანაძე მართლაც აღჭურვილია ყველა უნარით, რომ ამგვარ ძალასთან გამონახოს საერთო ენა.

ამისგან განსხვავებით, „ნაციონალები", მაგალითად, პირდაპირ საჭმლის მომნელებელი სისტემის გარდაუვალ მოთხოვნებზე აგებენ თავიანთ ფსონებს — **სოფო ბუკია**, 4 ივლისი, *„ნაციონალები" „პურიმიტინგებს" მოაწყობენ*. საინტერესოა, რომ აქაც წინააღმდეგობათა ერთიანობას ვაწყდებით. სტატიაში ვკითხულობთ: **„ნაციონალების" ინიციატივით შაბათს, 5 ივლისს, 12 საათზე საქართველოს 20 რაიონში, „წინასწარ დიდი ბოდიშის მოხდით", საავტომობილო და სარკინიგზო გზები გადაიკეტება"**. მიზეზი — პურის გაძვირება. წინააღმდეგობათა ერთიანობა კი შემდეგშია: ერთი მხრივ, საქმე გვაქვს „ეროვნული მოძრაობის" დროინდელი ავადსახსენებელი „სამტრედიის აქციის" მოდიფიკაციასთან (ძველი) და თანაც იმასთან (ახალი), რაც ასე ბუნებრივად ჟღერს რუსულად (хлебный бунт) და რისი აღნიშვნისათვის ჩვენს მშობლიურ ენაზე ასეთი უგვანო შესიტყვების მოგონება მოგვიწია: პური-მიტინგი.

არსებითად კი „ნაციონალებმა" სოციალური პირამიდის საფუძველზე, მის ყველაზე დაბალ და ფართო ნაწილზე მიიტანეს იერიში. მათი პარტიული შემადგენლობის სიჭრელე და არაერთგვაროვნება სხვა შესაძლებლობებს ნაკლებად უტოვებს.

ვინ ზემოდან მიიწევს საკანონმდებლო ხელისუფლებისაკენ, ვინ ქვემოდან. მე ვიტყოდი, რომ მათი შეხვედრა აუცილებლად მეგობრული უნდა იყოს. მე, მართალი გითხრათ, გზის გადასაკეტად არ გავალ; არც ღვაწლმოსილ ინტელიგენტთა სიაში ჩამწერს ვინმე. მე ერთი საბრალო ინტელექტუალი ვარ და ჩემი მოთხოვნებიც გაცილებით უფრო მოკრძალებულია: ვიცხოვრო სახელმწიფოში, სადაც პურის გაძვირებაზე არანაკლებ აღშფოთებას გამოიწვევდა სპიკერის წარმოთქმული და ჩართული ტელევიზორიდან ქარის მოტანილი ფრაზა: **„კოლეგებო, სხვისი პულტებით ნუ რეგისტრირდებით, კვორუმი ისედაც არის!"**.

## დღეს ზუგდიდში "ახლების" რაიონული ორგანიზაციის კონფერენცია გაიმართება

პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები" დღეს ზუგდიდში რაიონული ორგანიზაციის კონფერენციას გამართავენ და რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილს დაასახელებენ.

კონფერენციას "ახალი მემარჯვენეების" ლიდერები - დავით გამყრელიძე, ლევან გაჩეჩილაძე, ვალერი კვარაცხელია დაესწრებიან.

"ახალმა მემარჯვენეებმა" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები რამდენიმე რაიონში უკვე დაასახელეს. ონში "მემარჯვენეებმა" კანდიდატად დავით საგანელიძე, თბილისის ჩუღურეთის რაიონში - კოკა გუნცაძე, ვაკის რაიონში - ლევან გაჩეჩილაძე, საბურთალოს რაიონში კი ბიძინა გეგიძე დაასახელეს.

*ინტერ-პრესი*

## ეუთო-ს გენერალური მდივანი საქართველოში

ევროპის თანამშრომლობისა და უშიშროების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იან კუბიში ხუთდღიანი ვიზიტით საქართველოს ეწვია. ვიზიტისას, ეუთო-ს გენმდივანი საქართველოში ამ ორგანიზაციის მისიის საქმიანობას და ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას გაეცნობა. იან კუბიში შეხვდება პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს, პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს, განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს მალხაზ კაკაბაძეს, სასაზღვრო დეპარტამენტის ხელმძღვანელს ვალერი ჩხეიძეს და პრეზიდენტის პირად წარმომადგენელს უსაფრთხოების და კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში ირაკლი მაჭავარიანს.

გარდა ამისა, გენმდივანი ეწვევა ეუთო-ს მისიის ცხინვალის ოფისს და მოინახულებს საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის, ჩეჩნეთის და ინგუშეთის მონაკვეთებს, სადაც ეუთო-ს ეგიდით მონიტორინგი ხორციელდება.

*პრაიმ-ნიუსი*

# გატაცებული ესპანელების ჩვენება

პირველი გვერდიდან

„ფრანსისკო როდრიგეს კაბალა მადრიდში დანაშაულის სპეციალურ დეპარტამენტში 2001 წლის 14დეკემბერს 19 საათსა და 15 წუთზე დაკითხეს. დაკითხვას ესწრებოდნენ ესპანეთის უშიშროების მინისტრი, დეპარტამენტის უფროსი, უფროსი ინსპექტორი.

**შეკითხვა:** რა საქმიანობას ეწევით ესპანეთში და საზღვარგარეთ?

**პასუხი:** გატაცებამდე მქონდა საწარმო, რომელიც ახლაც მაქვს, რომლის სახელწოდებაა Trading Madera Group S.A., რომლის საქმიანობაც არის ხის იმპორტირება და კომერციული საქმიანობა. აქციების 25 პროცენტი მაქვს, ამავე თანხის რამოდენიმე პროცენტი კი - ჩადებული სხვა საწარმოში, რომლის სახელწოდებაა World Wide Trade Centre S.L., და რომლის პარტნიორიც არის არნალდო ორტო დუსარდო. უკრაინაში სამი საწარმოა. ამ საწარმოების ფილიალებია Trading Madera Group S.A და Sabana, რომელიც, ასე ვთქვათ, გაყოფილია ორ ნაწილად, რომლის ერთი ნაწილიც ეკუთვნის Trading-ს და მის უკრაინელ პარტნიორებს, მათ შორის მატუაშ ალექსანდრს. მესამეა HUT, რომლის საქმიანობაც არის ინტერნაციონალური ტრანსპორტირება-გადაზიდვა. ყველა საწარმო დახურული იქნა ჩემს გამო, გატაცების შემდეგ. ამით იმის თქმა მინდა, რომ ველარ ვენდობოდი ვერავის და ვერც ჩემს უკრაინელ პარტნიორებს.

**შეკითხვა:** რა საქმიანობას ეწევა „გეო-მადერა" საქართველოში, ვინ არიან ამ საწარმოს პარტნიორები და უფროსები და რა ურთიერთობა გაქვთ მათთან?

**პასუხი:** საერთოდ არ ვიცოდი მისი არსებობა. მის შესახებ შევიტყვე ჩემი განთავისუფლების შემდეგ. არც აქციები მქონდა ამ საწარმოში და არც ინტერესები. ვფიქრობ, რომ ეს საწარმო ჩამოყალიბდა ჩვენი გატაცების შემდეგ (რაშიც დარწმუნებული არ ვარ).

**შეკითხვა:** რომელ სასტუმროში დაბინავდით და ვინ არიან მისი მფლობელები, მომუშავე პერსონალი და ყოველდღიური კლიენტები?

**პასუხი:** დავბინავდით სასტუმრო „ლონდონში", რომელიც შეიძინა Trading Madera-მ და საბოლოოდ ამითი სარგებლობდნენ ის პიროვნებები, ვისაც რაიმე საქმე ჰქონდა საქართველოში (ვგულისხმობ ესპანელებს) და ურთიერთობა - არნალდო ორტო დუსარდოსთან, რომელსაც აგრეთვე ვიცნობ ალექსას სახელითაც. საქართველოში ჩამოსვლამდე დავუკავშირდი ალექსას და მან დამიჯავშნა ოთახი ზემოთხსენებულ სასტუმროში, მე და ხოსე ანტონიო ტრიმინოს. მე ალექსასთან სერიოზული პრობლემები მქონდა, რადგან მას ჩემი ვალი აქვს. დავუკავშირდი და ვუთხარი, რომ საქართველოში სამკაულების სპეციალისტთან ერთად ჩავიდოდი (მისგან მივიღე ინფორმაცია ყელსაბამის თაობაზე). მე მოვუყევი ჩემი გეგმის შესახებ - ვგულისხმობ მოგზაურობას - რომ დავრჩებოდი ერთი კვირის მანძილზე თბილისში, ხოლო იქიდან ხოსე ანტონიო დაბრუნდებოდა მადრიდში, ხოლო მე - კიევში. ალექსამ მიპასუხა - შენც იგივე გზა გააგრძელე, რაც ხოსე ანტონიომ, რადგან არ მინდა, რომ კიევში გაიგონ, სად ვიმყოფებიო. ასე რომ, თვით ალექსამ აიღო თბილისიდან მადრიდში ჩვენი გამგზავრების ბილეთები და რატომღაც ღამის რეისით. იმ მომენტში ამას ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ გატაცების შემდეგ ყველაფერი ჯაჭვივით აება.

**შეკითხვა:** მართალია თუ არა, რომ სასტუმრო „ლონდონში" გახსნილი იყო კაზინო. დადებითი პასუხის შემთხვევაში, ვინ იყვნენ მისი მფლობელები, კრუპიეები და რა ურთიერთობა ჰქონდა მათთან ხოსე-ანტონიოს?

**პასუხი:** კაზინო უნდა აშენებულიყო თბილისში და არა სასტუმროში, ან მის მახლობლად. ამ სასტუმროს პარტნიორები იყვნენ ფრანსისკო კარდენასი, ალექსა და სხვები. სასტუმრო „ლონდონში" ცხოვრობდნენ რაფაელ ვილჩესი და ორი კრუპიე (ერთ-ერთ მათგანს ერქვა პაკო) და აგრეთვე არგენტინელები, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ მშენებლობით.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი გატაცების პერიოდში ერთ-ერთმა ტერორისტმა, რომელიც იყო უფროსი და „კაპიტანს" ეძახდნენ, ჩვენ მოგვიტანა გაზეთიდან ამონაჭერი და გვითხრა, რომ გენერალ ლევანს (მე მას ვიცნობდი სასტუმრო "ლონდონიდან", ანუ იგივე ლევან კენჭაძე, ანტიტერორისტული დეპარტამენტის უფროსი საქართველოში) თავისი ინტერესები ჰქონდა. ინტერესებს ვგულისხმობ კაზინოსთან დაკავშირებით. ჩვენი განთავისუფლების შემდეგ მე ვკითხე ალექსას, მართლა ჰქონდა თუ არა ლევან კენჭაძეს რაიმე ურთიერთობა მასთან (საქმიანი), რაზეც მან დადებითად მიპასუხა.

**კითხვა:** იცნობთ თუ არა ფრანსისკო კარდენას მარტინესს და ჰუგო დელა მორას და რა ურთიერთობები გაქვთ მათთან?

**პასუხი:** ფრანსისკო კარდენასთან კომერციული საქმიანობა მაკავშირებდა. ჰუგო დელა მორა ის პიროვნებაა, ვინც დაინტერესებულია ანტიკვარებით და ამ სფეროში მუშაობს. მას საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან უკრაინაში ჰქონდა საქმეები ანტიკვარებთან დაკავშირებით, სადაც რაღაც პრობლემები შეექმნა ( ვერ გეტყვით, რა პრობლემები, რადგან არ ვიცი) და გადაინაცვლა საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ არ იცოდა და დღემდე არ იცის, რატომ.

**კითხვა:** თქვენი მოგზაურობის მიზეზი საქართველოში...

**პასუხი:** მივიღე ინფორმაცია, რომ არსებობდა ბრილიანტების ყელსაბამი, ბევრკარატიანი, რომელიც იყო ბანკში და რომლის საფასურიც 250 ათასი დოლარი იყო. ეს ინფორმაცია მივიღე ვახტანგ თემურის ძე კობიაშვილისგან და არნალდოსგან. ამის შესახებ ვესაუბრე ხოსე ანტონიო ტრიმინოს (მინდა აღვნიშნო, რომ ხოსე-ანტონიო ამ საქმიანობით არის დაკავებული) და გადავწყვიტეთ საქართველოში მოგზაურობა, იმ პირობით, თუ ვნახავდით და მოგვეწონებოდა ყელსაბამი, ხოსე-ანტონიოს ჰყავდა ინვესტორები და გზად შევისწავლიდით საქართველოს ბაზარსაც.

**შეკითხვა:** რა ურთიერთობა გაქვთ ხოსე ანტონიო ტრიმინოსთან?

მას ვიცნობ ჩვენი ერთი საერთო ნაცნობისგან, ხუან-კარლოსისგან, რომელიც არის ტრიმინოს პარტნიორი სამკაულების დარგში. მასთან დღემდე კარგი ურთიერთობა მაქვს. ერთმანეთს საქართველოში უფრო დავუახლოვდით.

**კითხვა:** გატაცებამდე რაიმე ოპერაცია ხომ არ განგიხორციელებიათ, რომელსაც კორუფციასთან შეიძლება ჰქონდეს კავშირი?

**პასუხი:** ვადასტურებ, რომ გატაცებამდე არანაირი კომერციული საქმიანობა არ განმიხორციელებია.

**შეკითხვა:** ვის შეიძლებოდა სცოდნოდა თქვენი საქმიანობის შესახებ საქართველოში?

**პასუხი:** მხოლოდ არნალდო ორტო დუსარდოს და კობიაშვილების ოჯახს. ამ ოჯახიდან ვიცნობ სულიკოს (პოლიციის უფროსი), გიორგის ( მისი ვაჟიშვილი და ჩვენი მძღოლი გატაცებამდე), თემურ კობიაშვილს და ირაკლი კობიაშვილს. ყელსაბამი იყო ბანკში, რომლის მფლობელი იყო ვახტანგ კობიაშვილის კლიენტი და მეგობარი. ვახტანგი არის თემურის ბიჭი.

მთავარია ისიც, რომ ჩვენი მოგზაურობის საბაბი იცოდნენ მხოლოდ მათ და ისიც, რომ გვინდოდა იმ სამკაულის შეძენა. აღსანიშნავია ისიც, რომ გატაცების დროს ჩვენ გვკითხეს იმ სამკაულის შესახებ, რომელიც არ შეგვიძენია.

**კითხვა:** ვის შეიძლებოდა სცოდნოდა თქვენი გამგზავრების დღე, საათი და მიმართულება, ანუ, რა გზით მიდიოდით საქართველოდან?

**პასუხი:** ერთადერთი პიროვნება იყო არნალდო ორტო დუსარდო, რომელმაც იცოდა ჩვენი გამგზავრების შესახებ და რომელიც აცილებდა და ხვდებოდა ესპანელებს.

**კითხვა:** ვინ არის ალექს მარკორო?

**პასუხი:** მისი ზედმეტსახელი იყო ალექსა, ხოლო არასდროს გამიგია გვარი მარკორო.

ამ პიროვნებასთან ურთიერთობა მაქვს აგერ უკვე ხუთი წელია. ჩვენი ურთიერთობა დაიწყო კლუბ „სიგარო პურო ჰაბანო"-ში. ალექსა მაშინ იმყოფებოდა კუბაში და დაკავებული იყო ამ პროდუქტის გაყიდვით. იდეაში ჰქონდა, ჩამოეყალიბებინა ბრიუსელში „სიგარო პურო ჰაბანო"-ს სახლი. შემდეგ გვქონდა საქმიანი ურთიერთობა ვალენსიაში, სადაც ჩამოყალიბდა Main S.A, რომელიც ეხებოდა ხის იმპორტს, ან ექსპორტს. ძირითადად ხის მასალა ჩამოგვქონდა უკრაინიდან, საიდანაც ხით დატვირთული მხოლოდ ერთი გემი გამოიგზავნა. შემდეგ რაღაც შეკამათება მოგვივიდა Main-ის წარმომადგენლებთან მეც და ალექსასაც და გადავწყვიტეთ, გამოვყოფილიყავით ამ საწარმოდან. გვინდოდა იგივე საქმიანობის გაგრძელება, მაგრამ ფრანსისკო კარდენასთან ერთად.



ბლოკპოსტი პანკისში.



გათავისუფლების დღე.

**კითხვა:** რა კომერციული საქმიანობა გქონდათ უკრაინაში?

**პასუხი:** როდესაც ეს საწარმო ჩამოყალიბდა და საქმეში ფრანსისკო კარდენასიც ჩაერთო, უკრაინაში ხის ფაბრიკის აშენება გადავწყვიტეთ. 2000 წელს გავიგე, რომ მთელი დანადგარები სხვის სახელზე იყო და არა „საბანაზე" (ეს ის საწარმოა, რომელიც მე და ალექსას გვქონდა). ამ მოტივით და იმ პრობლემებით, რომელიც შეგვექმნა უკრაინაში, გადავწყვიტეთ ახალი კარი გაგვეხსნა ჩვენს საქმიანობაში, ანუ კარის გახსნაში ვგულისხმობ საქართველოში წამოსვლას და ყველანაირი წერტილის დასმას უკრაინაში.

**კითხვა:** ესწრებოდა თუ არა ალექსა თქვენს საქმიან მოლაპარაკებას?

**პასუხი:** კი, მაგრამ ხშირად არა.

**კითხვა:** შესაძლოა ალექსას ეფიქრა, რომ ხოსე-ანტონიოს ბევრი ფული აქვს?

**პასუხი:** გატაცებამდე წინა დღით ხოსე ანტონიო და ალექსა იყვნენ წასულები თურქულ აბანოებში. გატაცების განმავლობაში ხოსე ანტონიო მომიყვა, რომ აბანოები დაკეტილი დახვდათ და ისინი ფეხით დაბრუნდნენ სასტუმროში. ამ დროის მანძილზე ალექსამ ყველაფერი დაწვრილებით გამოკითხა ხოსე ანტონიოს, თუ რას საქმიანობდა იგი მადრიდში, რამდენი ხანია მუშაობს სამკაულებზე და აქვს თუ არა ბევრი ფული, რაზეც ხოსე ანტონიომ უარყოფითად უპასუხა.

**შეკითხვა:** ალექსას აეროპორტში გაცილების ჩვევა ჰქონდა და რატომ არ გამოგყვათ გატაცების დღეს?

**პასუხი:** იგი ყველას აცილებდა და ხვედებოდა ხოლმე, მაგრამ იმ დღეს მოვიდა გიორგი (კობიაშვილი), რათა ჩვენ წავეყვანეთ. იდეა ის იყო, რომ მივიდოდით სულიკოსთან სახლში, წამოვიდოდა ისიც, თან წამოსაღები მქონდა საათი და რამდენიმე სურათი. ალექსა არ გამოგვყოლია. როგორც გიორგიმ გვითხრა, იგი დაუკავშირდა ალექსას და მან არ უპასუხა, რადგან უკვე ეძინა. გიორგიმ იმით ახსნა, გვიანი არის და ღრმად ჩაეძინაო. იმ მომენტში ეს ჩვეულებრივად მივიღე, ხოლო დროთა განმავლობაში ამ დეტალმა ძალიან დიდი მნიშვნელობა შეიძინა.

**კითხვა:** რა ურთიერთობა გაქვთ კობიაშვილების ოჯახთან?

**პასუხი:** ისინი ალექსას მხრიდან გავიცანი და ერთ-ერთი ამ ოჯახის ნათესავისგან, რომელიც მუშაობდა კიევის აეროპორტში. 1999 წლის ბოლოს თ. კობიაშვილმა მთხოვა, მისი შვილი ერთ-ერთ საფეხბურთო კლუბში წამეყვანა, რათა შეეფასებინათ მისი შესაძლებლობა. ოქტომბერში მისი ორი შვილი წავიყვანე. ერთ-ერთი ვახტანგ კობიაშვილი იყო. მეგობრები მყავს „ატლეტიკო დე მადრიდის" კლუბში და მათ ვთხოვე, რომ შეემოწმებინათ თემურის ვაჟი. ჩემთვის ეს ოჯახი, ასე ვთქვათ, გასაღები იყო საქართველოში მომავალი საქმიანობის საწარმოებლად.

**შეკითხვა:** როგორ მოხდა გატაცება?

**პასუხი:** სულიკო მანქანაში ჩავისვით. იგი „მერსედესის" ფირმის მიკროავტობუსის საჭესთან დაჯდა, რომელსაც მადრიდის სერია ჰქონდა და რომელიც ჩემს სახელზე იყო გაფორმებული. მის გვერდით დაჯდა მისი ვაჟი გიორგი... უკანა სკამზე - მე და ხოსე ანტონიო. აეროპორტის გზატკეცილზე მარცხენა მხრიდან გამოჩნდა „ოპელი" და მასში 5 მგზავრი. ისინი ჩაცმულნი იყვნენ პოლიციელის ფორმაში და შეიარაღებულები - „კალაშნიკოვით". დეტალურად რომ აღვწერო, მათ ფორმას დაჰყვებოდა ფორთოხლის ფერი. ისინი მოუახლოვდნენ ჩვენს მანქანას, გაგვისწორდნენ, გადმოიღეს იარაღი და გვანიშნეს, რომ გავჩერებულიყავით. სულიკომ რაღაც გაუგებრად თქვა და გააგრძელა გზა, მაგრამ იმ მანქანამ გაგვისწრო და გზა გადაგვილობა. ტერორისტები მაშინვე გადმოვიდნენ მანქანიდან და სულიკოც მაშინვე გადავიდა. მათ ერთმანეთში დაიწყეს საუბარი ჩვენთვის გაუგებარ ენაზე. სულიკო ხელით გვერდზე გასწიეს. ერთ-ერთმა ტერორისტმა გიორგი მანქანიდან გადაიყვანა და მამამისს გვერდზე მიუყენა. მიუხედავად იმისა, რომ სულიკოც და გიორგიც იარაღს ყოველთვის ატარებდნენ, მათ იმ დღეს იარაღი არ გამოიყენეს. ჩვენ მანქანიდან ჩამოგვსხეს, ჩამოგვართვეს მობილური ტელეფონები, თვითმფრინავის ბილეთები, ფურცელზე ჩაიწერეს ჩვენი სახელები, გამოგვართვეს ფული და მოითხოვეს ბრილიანტის ყელსაბამი, რომელიც არ გაგვაჩნდა. ერთ-ერთმა ტერორისტმა ჩვენი ჩანთები გადაიტანა მათ მანქანაში, „ოპელში", კობიაშვილებს ხელები შეუკრეს და უკან ჩააჯინეს „მერსედეს"-ის მიკროავტობუსში, ჩვენ კი - „ოპელში", სადაც ორ ტერორისტს შორის ვისხედით. გავცდით იმ ადგილს, სადაც გაგვაჩერეს და ვკითხე მძღოლს: „ჩვენი გატაცება პოლიტიკურია, თუ საქმიანი?" მძღოლმა მიპასუხა - „საქმიანი". ვისაც კითხვა დავუსვი, კრიმინალური ჯგუფის უფროსი აღმოჩნდა. ერთ-ერთის ტელეფონმა დარეკა და მან ინგლისურად უპასუხა: „one time" ( ერთი საათი). მთელი მგზავრობის განმავლობაში გზად არც ერთი მანქანა არ შეგვხვედრია, მხოლოდ ერთხელ გაგვისწრო დიდმა სატვირთო მანქანამ. გზაზე მანქანა გაუფუჭდათ- ეს დრო გამოიყენეს, მანქანიდან გადმოგვსხეს და გადმოიტანეს ჩვენი ჩანთები, გახსნეს და ყველაფერი ამოყარეს. ვერ გეტყვით, რას ეძებდნენ. როგორც კი მანქანა შეაკეთეს, ტანსაცმელი ისევ ჩანთებში ჩაყარეს და ჩვენც ჩაგვსვეს მანქანაში. ქვაღორღიან გზაზე განვაგრძეთ სიარული. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენს წინ გაჩნდა მანქანა, რომელმაც შუქები აგვინთო. მივხვდი, რომ ეს მათი ნიშანი იყო. ჩამოგვსხეს და გადაგვიყვანეს იმ ახალ მანქანაში. გამოგვართვეს საათები და ჩვენი ჩანთები დაიტოვეს. იმ მომენტში ვერ ვხედავდი ახალი ტერორისტების სახეებს. ხოსე ანტონიო საბარგულში ჩასვეს, მე კი უკანა სკამზე და ამ მომენტში ცუდად ვიგრძენი თავი, რადგანაც ჩვენ დაგვაშორეს. ასე ვიმგზავრეთ სიჩუმეში. მანქანა რაღაც ადგილას გაჩერდა და ფეხით, დაახლოებით, 100 მეტრი ვიარეთ, მივუახლოვდით რაღაც სახლს, საიდანაც ძაღლების ყეფა ისმოდა. ტერორისტმა ვერ გააღო ჭიშკარი(გაუძნელდა) და ღობეზე გადახტა. შევედით ეზოში, იქ იდგა სახლი, სახლის უკან იყო ხის კიბეები, ჩაგვიყვანეს ქვემოთ. დაგვაჯინეს საწოლზე, გვანიშნეს, არ გაინძრეთო. რამდენიმე წუთში ჩამოვიდა ერთ-ერთი ტერორისტი და დარჩა ჩვენთან საყარაულოდ. იმ ოთახში 23 ივლისამდე ვიყავით...

გათენდა. გამოგვიყვანეს სარდაფიდან და შეგვიყვანეს პატარა სახლში, რომელიც იმავე ეზოში იდგა. ნება დაგვრთეს, მიგველო შხაპი და გამოგვეცვალა ტანსაცმელი (ტანსაცმელი მეორადი მოხმარების იყო). გვიბრძანეს, დაგვერეკა ჩვენს მეუღლეებთან და შეგვეტყობინებინა მათთვის, რომ გატაცებულნი ვიყავით. ეს გვიბრძანა „კაპიტანმა". ამავე პიროვნებამ გაგვაცნო „ხორხე", რომელმაც ითავა ჩვენს შორის შუამავლობა ენის ცოდნის გამო. მან ცოტაოდენი ესპანური იცოდა და არგენტინული კილო ჰქონდა. 1 სექტემბერს გაისმა მუსულმანურ ენაზე ლოცვა. ამ ლოცვის დაწყებისთანავე მათი რაოდენობა შემცირდა.

ჩვენ შემოგვთავაზეს სიგარეტი, რაც ადრე არ მომხდარა. შემოგვთავაზეს ჰეროინი, მარიხუანა, არაყი და ქალები, რაზეც ჩვენ უარი ვუთხარით. იმ ადგილს, სადაც ვიმყოფებოდით, რაღაც საერთო უნდა ჰქონდეს ნარკოტიკების გასაღებასთან. ღამეების განმავლობაში იყო ხალხის მისვლა-მოსვლა.

ამავე დღეს, ღამით ჩვენთან სარდაფში ჩამოდის ოთხი ბანდიტი, გვთავაზობენ თამბაქოს და საუბრის დაწყებას ცდილობენ, მაგრამ ჩვენ ვერ ვგებულობთ, რას ამბობენ, რის შემდეგაც ისინი იწყებენ ჟესტებით საუბარს. მათ ჰქონდათ წვერი. ამბობდნენ, რომ იყვნენ აზერბაიჯანელები და არ მოსწონდათ ჩეჩნები. ყველანაირად ცდილობდნენ, მიეღოთ ინფორმაცია, თუ როდის გამოგზავნიდნენ ჩვენი ოჯახები ჩვენს დასახსნელ ფულს. პროტესტის ნიშნად ვანიშნე, რომ დავიღალე ამ ყველაფრით. გამათავისუფლონ ან მომკლან. ამ მომენტში თავზე დამადეს იარაღი და მანიშნეს, რომ თუ არ დავწყნარდები, მესვრიან.

2 სექტემბერს ჩამოვიდნენ სარდაფში, მკლავზე მომკიდეს ხელი და ამაყენეს. Mმიბრძანეს, რომ მეუღლესთან დამერეკა, წამეკითხა ფურცელზე დაწერილი ინგლისური ტექსტი, მაგრამ ისე ცუდად ვიყავი, რომ ვერც კი წავიკითხე. საბოლოოდ ჩემს მეუღლეს დაუკავშირდა ხოსე ანტონიო და წაუკითხა ტექსტი. ინგლისური ტექსტი იტყობინებოდა, რომ „ლუისმა" არ შეასრულა თავისი საქმე. გადასახადია 50 000 დოლარი, თუ არა სიკვდილით ვემუქრებითო.

სულ ამ 50 000 დოლარზე იყო საუბარი. ჩვენ არაფერს გვეუბნებოდნენ. ვიფიქრე, რომ ეს ვილაცა „ლუისი" იყო ახალი შუამავალი და ეს ის იყო, რომელსაც ითხოვდნენ აზერბაიჯანელები (ესეც „კაკოსგან" შევიტყვეთ).

4 სექტემბრის ღამეს ჩაგვსვეს თეთრი ფერის ჯიპში. მანქანაში იყო ერთი პიროვნება, რომელსაც ეძახდნენ „ძმას"- ჩვენ იგი გაგვაცნეს, როგორც „ნაილსი". წაგვიყვანეს იმავე სოფლის სხვა სახლში, მანქანით სამიოდე წუთი ვიმგზავრეთ. იქ ორი დღე გავჩერდით „ნაილსთან" ერთად და ჯგუფის ორ ახალ ტერორისტთან. მათი სახელები იყო „სანი" და „კაკო". „ნაილსმა" გვანიშნა, რომ ფული უნდა მიეღოთ დღეს და თანხა უნდა მოეტანა ხორხეს, მაგრამ არც ფული ჩანდა და არც „ხორხე". იმ ღამით გადაგვიყვანეს სხვა სახლში. გავიარეთ 150 მეტრი და მივუახლოვდით რაღაც სახლს, რომელსაც სალორე ჰქონდა. ეზო ძალიან დიდ ადგილს იკავებდა, სახლი ორ სართულიანი იყო და ძალიან დიდი შესასვლელი ჰქონდა. ამ სახლში გავჩერდით 26-27 ნოემბრამდე, ზუსტად არ მახსოვს. ჩვენთან ერთად იყვნენ „სანი" და „კაკო". ორი შეიარაღებული - პირველ სართულზე. „ნაილსმა" დაგვტოვა და თვითონ წავიდა. ოთახში იყო ერთი საწოლი, სადაც გვეძინა ჩვენ და „სანის", ხოლო „კაკოს" - ღამის ლეიბზე. მანამდეც ყოლიათ გატაცებული ვილაც ორი პიროვნება, ერთი - ოსეთიდან, ხოლო მეორე - საქართველოდან, რომლებმაც გაქცევა სცადეს და „ნაილსმა" და „სანიმ" იქვე ჩაცხრილეს. „სანი" ძალიან ცუდად გვექცეოდა და ყოველთვის გვთხოვდა, რომ ჩუმად ვყოფილიყავით. „კაკო" კი უფრო კონტაქტური იყო და ჩემთან საუბრის დაწყებას რუსულად ცდილობდა, რადგან შეიტყო, რომ ცოტაოდენი რუსული ვიცოდი. „კაკო" გვაწყნარებდა და გვეუბნებოდა, რომ იქიდან ცოცხლები გავიდოდით. ამისთვის თანხის გამოგზავნაა საჭიროო. არ უნდოდათ, რომ ავად გავმხდარიყავით და იგივე მოგვსვლოდა, რაც გატაცებულ ბერს. მის გათავისუფლებაში ლევან კენჭაძე ითხოვდა 3 000000 დოლარს. მას შესთავაზეს 600000 დოლარი. გატაცებიდან ექვსი თვის შემდეგ ბერი გარდაიცვალა და ესენი ყველაფრის გარეშე დარჩნენ. ეს ინფორმაცია დაზუსტებულია, რადგან მათ ეს უამბო „ნაილსმა", რომელიც ანტიტერორისტული ჯგუფის უფროსის მეგობარია და ძალიან წუხდა, რომ არ აიღეს შემოთავაზებული 600000."

*საინფორმაციო სააგენტო "ექსპრესი"*

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

## ინფოთეკა

### მატჩი ტერაქტის გამო გადაიდო

მოსკოვის გარეუბან ტოშინოში მომხდარი ტერაქტით გამოწვეული უსაფრთხოების გაძლიერებული ზომების გამო გადაიდო რუსეთის ეროვნული ჩემპიონატის კალენდარული მატჩი "სპარტაკსა" და "დინამოს" შორის. ის გუშინ ნეტოს სახელობის სტადიონზე 18 საათზე უნდა გამართულიყო. იგეგმებოდა, რომ გულშემატკივრები უბილეთოდ უნდა შეეშვათ. მატჩის გამართვის ახალ თარიღს რუსეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგა უახლოეს დღეებში დაადგენს.

### კლუივერტმა "ბარსელონას" ქომაგები დაამშვიდა

პატრიკ კლუივერტმა თავის ინტერნეტ-საიტზე განათავსა მიმართვა საკუთარი გუნდის ხელმძღვანელობისა და გულშემატკივრებისადმი. "ბარსელონას" თავდამსხმელი, რომელიც ისტორიულ სამშობლოში, სურინამში ატარებს შვებულებას, აცხადებს, რომ კატალონიურ კლუბში დარჩენა სურს. კლუივერტმა პირობა დადო, რომ უახლოეს დღეებში დაბრუნდება ესპანეთში და "ბარსელონას" ხელმძღვანელობას ახალი კონტრაქტის თაობაზე მოელაპარაკება.

### ეტო`ოს პრობლემები შეექმნა

კამერუნელი სამუელ ეტო`ოს "მალიორკადან" "ვალენსიაში" გადასვლა, შესაძლოა, არ განხორციელდეს. საინფორმაციო სააგენტოებმა იჩქარეს და ამ ტრანსფერის თაობაზე ცნობა უკვე გაავრცელეს, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, საქმე მხოლოდ "ვალენსიასა" და ფეხბურთელს შორის წინასაწრი შეთანხმების გაფორმებას ეხებოდა. თავად კლუბები ჯერ ძალიან შორს არიან სატრანსფერო თანხასთან დაკავშირებით კონსენსუსის მიღწევამდე. ესპანური გაზეთების ცნობით, "ვალენსია" თანახმაა, ეტო`ოს სანაცვლოდ 12 მილიონი ევრო გადაიხადოს. "მალიორკა" კი 18 მილიონს ითხოვს.

### ვიეირამ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა

ლონდონის "არსენალმა" თავის კაპიტანთან, პატრიკ ვიეირასთან ახალი, სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ინგლისური სპორტული ინტერნეტ-საიტების ცნობით, საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი ამ კონტრაქტის თანახმად კვირაში 70 ათას გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

"ჩემთვის და "არსენალისთვის" გადამწყვეტი ეტაპი დგება. მომდევნო 2-3 წელი კლუბის ისტორიის განმსაზღვრელი იქნება. მე მჯერა არსენ ვენგერის და მისი ხელმძღვანელობით "არსენალთან" ერთად მთავარი ევროპული ჯილდოს მოგებას ვაპირებ", - განაცხადა ვიეირამ.

### ნაკატა თითქმის მილანელია

"პარმას" ნახევარმცველის, ჰიდეტოში ნაკატას აგენტმა განაცხადა, რომ "მილანი" იაპონელი ფეხბურთელის შეძენას ეშურება.

"უახლოეს მომავალში ნაკატას "მილანში" გადასვლასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები დასრულდება. ძალზე დიდია იმის ალბათობა, რომ ჩემი კლიენტი მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის შავ-წითელ მაისურას მოირგებს", - განაცხადა კარლო პალავიჩინომ.

რამდენიმე დღის წინ "მილანის" პრეზიდენტი ადრიანო გალიანი არ მალავდა, რომ "პარმას" შეფებთან მოლაპარაკებას აწარმოებს. იტალიაში ვარაუდობენ, რომ ნაკატას სანაცვლოდ "მილანი" "პარმას" ტომასონი-დალაბონა-ბორელო-ლაურსენის ოთხეულიდან ერთ-ერთს შესთავაზებს.

### ვალდანომ ჰიონესს უპასუხა

"რეალის" სპორტული დირექტორი, ხორხე ვალდანო გუშინ "ბაიერნის" მენეჯერის, ული ჰიონესის წინააღმდეგ საჯარო განცხადებით გამოვიდა. პარასკევს გერმანელმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ "რეალში" ბექჰემის გადასვლის შემდეგ "სამეფო კლუბი" "სპორტული გუნდიდან მაიმუნების ცირკად გადაიქცა," ჰიონესისავე თქმით, ინგლისელი ბრწყინვალე ტოპ-მოდელია, მაგრამ ფეხბურთელობის ალარაფერი სცხია და იგი ამ ტრანსფერით მოხარულია, რადგან "ბექჰემის "რეალში" გადასვლა "ბაიერნის" საჩემპიონთალიგო ამბიციებს უწყობს ხელს".

ამ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებზე ხორხე ვალდანომ განაცხადა, რომ "ჰიონესი ფეხბურთელობის დროსაც მხოლოდ ცარიელი კუნთები იყო. მას შემდეგ, რაც მენეჯერი გახდა, ტვინი არ მომატებია და, ძველებურად, კუნთების ამარა დარჩა." ვალდანომ გაიხსენა, რომ ერთი წლის წინათ ჰიონესი "რეალში" რონალდოს გადასვლასთან დაკავშირებითაც იმავე ტონში ენაწყლიანობდა, ხოლო ბრაზილიელმა ფორვარდმა ამ დაცინვას ბრწყინვალე თამაშით უპასუხაო. ამასთან, ესპანეთის ჩემპიონის წარმომადგენელმა განაცხადა: "მიუხედავად იმისა, რომ ამ კლუბში ჰიონესი მუშაობს, "ბაიერნის" მიმართ დიდი პატივისცემით ვარ გამსჭვალული."

WIMBLEDON 2003

## ჩოგბურთი

# როჯე ფედერერი უიმბლდონის ჩემპიონია

უიმბლდონის ტურნირზე ვაჟ ერთეულთა თანრიგში ფინალის ამგვარ შემადგენლობას ვერავინ ვერასდროს იწინასწარმეტყველებდა. რა თქმა უნდა, როჯე ფედერერი და მარკ ფილიპუსისი ურიგო ჩოგბურთელთა კატეგორიას არ განეკუთვნებიან და მსოფლიო კლასიფიკაციაში უკანასკნელ საფეხურებზე არ არიან, მაგრამ ამ ჩოგბურთელებს, როგორც წესი, საშუალო კლასის ოსტატთა კატეგორიას მიაკუთვნებენ. მართალია, ფედერერს ფავორიტთა კვარტეტში მოიხსენიებდნენ, მაგრამ აშკარა ფავორიტად ვერც მას და, მით უფრო, ვერც მარკ ფილიპუსისს ვერავინ დაასახელებდა.

ამჯერად, შეიძლება ითქვას, რომ ორივე ჩოგბურთელი საკუთარ თავს გადაახტა. როგორც უნდა დასრულებულიყო ფინალური შეხვედრა, ფაქტია, რომ ჩოგბურთელებმა დიდძალი ფული მოაგებინეს იმ ადამიანებს, ვინც მათ სასარგებლოდ ფსონს ჩავიდა.

საინტერესოა, რომ ნახევარფინალური შეხვედრები ორივე ჩოგბურთელმა სამ სეტში ერთი და იგივე ანგარიშით მოიგო - 7:6, 6:3, 6:3. უიმბლდონის ტურნირის ნახევარფინალები სამ სეტში უკანასკნელად 1982 წელს დასრულდა. მაშინ ფინალში გავიდნენ ჯიმ კონორსი და ჯონ მაკინროი, ანუ ის ჩოგბურთელები, რომლებიც შემდგომში კარგა ხანს სათავეში ედგნენ ჩოგბურთის მსოფლიო კლასიფიკაციას. როჯე ფედერერსა და მარკ ფილიპუსისს კი, საყოველთაო აღიარებით, ასეთი პერსპექტივა არ აქვთ და ესეც წლევანდელი ტურნირის თავისებურებაა.

წლევანდელ უიმბლდონზე პირველად მოხდა, რომ ფინალში ავსტრალიელი და შვეიცარიელი გადაეყარნენ ერთმანეთს. ავსტრალიელებს უიმბლდონის კორტებზე ბევრჯერ მოუგიათ. შვეიცარიის წარმომადგენელი კი ასეთი პრესტიჟული ტურნირის ფინალში პირველად გავიდა.

თუ ფინალისტთა თამაშის მანერას შევადარებთ, ნათლად დავინახავთ, რომ ორივესთვის მთავარი კოზირი მძლავრი მოწოდებაა. ნახევარფინალში ფედერერმა როდიკს სწორედ ზუსტი მოწოდებების ხარჯზე აჯობა. ფედერერი ძლიერად აწვდიდა და შემდეგ ბადესთან აქტიური თამაშით გადიოდა ფონს. ანუ შვეიცარიელი ამერიკელის წინააღმდეგ თამაშობდა ფორმულით - „მოწოდება და ბადესთან გასვლა". დაახლოებით იგივე სტილის მიმდევარია მარკ ფილიპუსისიც.



როჯე ფედერერი, როგორც იქნა, სანუკვარ ჯილდოს კოცნის

ჩოგბურთელებმა იგივე სტილი გამოიყენეს ფინალურ შეხვედრაშიც. ოღონდ ბადესთან უფრო ხშირად შვეიცარიელი ჩნდებოდა და წარმატებასაც აღწევდა. აღსანიშნავია, რომ პირველ სეტში, რომელშიც 13 გეიმი გათამაშდა და ტაი-ბრეიკზე ფედერერის გამარჯვებით დასრულდა, შვეიცარიელმა ერთადერთი უნებლიე შეცდომა დაუშვა. მეორე სეტში ფედერერის უპირატესობა უკვე აშკარა იყო. ფილიპუსისი უჩვეულოდ ზანტად გამოიყურებოდა და არც საფირმო ეისების სიუხვით გამოირჩეოდა. სამ სეტში ავსტრალიელმა 14 ეისი განახორციელა ფედერერის 19 ეისის წინააღმდეგ და საბოლოოდ, რაკი თავისი კოზირი ვერ გამოიყენა, დამარცხდა.

ამრიგად, შვეიცარიელმა "დიდი სლემის" პირველი ტურნირი მოიგო. საერთო ჯამში კი მის ანგარიშზე 9 მოგებული ტურნირია. როჯე ფედერერი მეოთხე ჩოგბურთელია უიმბლდონის ისტორიაში, რომელმაც ჯერ იუნიორთა შეჯიბრებაში ისახელა თავი (1998 წელს უიმბლდონის ფინალში მან ირაკლი ლაბაძე დაამარცხა), შემდეგ კი ძირითადი ტურნირიც დააჭაშნიკა.

„ჯერ ვერ შევეგუე იმას, რომ უიმბლდონის ჩემპიონი ვარ. ეს სიზმარს ჰგავს. ენდი როდიკთან და მარკ ფილიპუსისთან მატჩები ჩემი საჩოგბურთო კარიერის შესანიშნავი ფურცლებია. ბავშვობაში პიტ სამპრასის თამაშით ვიყავი მოხიბლული, მაგრამ ჩემი თამაშის სტილი პიტის სტილისგან განსხვავდება. მე ჩემი ხელწერა მაქვს. ბევრი ადამიანი სამშობლოდან მიჭერდა მხარს, ბევრი გულშემატკივარიც სტადიონზე მყავდა. მადლობას ვუხდი ჩემს ყველა გულშემატკივარს", - განაცხადა მატჩის შემდეგ როჯე ფედერერმა.

უიმბლდონზე გუშინვე დასრულდა გოგონათა ტურნირი. ფინალში რუსეთის სახელით მოასპარეზე ანა ჩაკვეტაძე ბელგიელ კირსტენ ფლიპკენსს შეხვდა. ბელგიელმა სამ სეტში დაამარცხა ანა და უიმბლდონის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

უიმბლდონი. ინგლისი. „დიდი სლემის" ტურნირი. ბალახი. შარშანდელი ჩემპიონები: ვაჟები - ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია), ქალები - სერენა უილიამსი (აშშ). ფინალი.

**ვაჟები:**

**როჯე ფედერერი (შვეიცარია, 4)** - მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 7:6 (7:5), 6:2, 7:6 (7:3)

## ჩვენიანი რუსი



თეიმურაზ გაბაშვილი - ბორჯომის თასის გამარჯვებული

ქართველი ჩოგბურთელის გამარჯვებით დასრულდა ლეილა მესხის აკადემიის კორტებზე მიმდინარე პროფესიონალ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი ბორჯომის თასზე. ქართველი ამ შემთხვევაში მხოლოდ ჩოგბურთელის წარმომავლობაზე ითქმის, თორემ თეიმურაზ გაბაშვილი რუსეთის სახელით ასპარეზობს. ახლა საუბარი იმაზე, თუ როგორ და რატომ მოხვდა ქართველი ჩოგბურთელი რუსეთში, შორს წაგვიყვანს, თუმცა, არც იმის უთქმელობა იქნება, რომ ამის მიზეზი ისევ ქართველები გახდნენ.

ფინალში გაბაშვილის მეტოქე ჩეხი იან მირნა იყო. ფინალში გასასვლელად გაბაშვილმა სამ სეტში მოუგო კიდევ ერთ ჩეხს, ზიტკოს (4:6, 6:3, 6:2), რომელიც კლასიფიკაციაში 361-ე ნომერია. რაც შეეხება მირნას, მან ფინალის გზაზე რუსი ელგინი დაამარცხა (6:4, 6:4). სხვათა შორის, ელგინი ტურნირის მონაწილეთა შორის საუკეთესოა კლასიფიკაციაში (296) და ტურნირზე პირველ ნომრადაც იყო განთესილი.

პირველი გეიმის წაგების შემდეგ გაბაშვილმა ზედიზედ ოთხი მოიგო და სეტის გამარჯვებამდე მიყვანაც არ გასჭირვებია - 6:4. მეორეში კი პირწმინდად დაჩაგრა მეტოქე - 6:1.

„რა თქმა უნდა, გახარებული ვარ ტურნირის მოგებით, თანაც, თბილისში. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ვიცოდი, რომ გავიმარჯვებდი", - თამაშის შემდეგ თქვა გაბაშვილმა.

## ალპინიზმი

# „ლოკომოტივი" მეტოქეს ელის

საქართველოს თასის გათამაშება რაგბიში დასასრულს უახლოვდება. გუშინ ქუთაისსა და თბილისში ნახევარფინალის პირველი მატჩები გაიმართა. ქუთაისში „აიამ" 14:13 დაამარცხა ქვეყნის ჩემპიონი ბათუმის „დათვები". თბილისში კი „ლოკომოტივის" სტადიონზე „ლოკომოტივმა" „აკადემია - იმედი-L" დაამარცხა - 31:7. ანგარიში კი დიდია, მაგრამ ის სრულად ვერ ასახავს თამაშის მიმდინარეობას. „აკადემია - იმედი-L"-მა სრულად ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობები. ამის მიზეზი ისიცაა, რომ გუნდი რამდენიმე წამყვანი მორაგბის გარეშე თამაშობდა.

„ლოკომოტივის" ბედი, ალბათ, გარკვეულია. საეჭვოა, რკინიგზელებმა განმეორებით მატჩში 24-ქულიანი უპირატესობა დათმონ. რაც შეეხება მეორე ფინალისტს, აქ საქმე უფრო რთულადაა. გუშინდელმა მატჩმა მხოლოდ ის გაარკვია, რომ ქუთაისელები არაფრის დათმობას არ აპირებენ და განმეორებით მატჩში ჩემპიონს დიდი ბრძოლა ელის ფინალში გასასვლელად.

## ალპინიზმი

# შემთხვევა შხარაზე

რამდენიმე დღის წინ მთამსვლელთა სამკაციანი ჯგუფის მცდელობა, დაელაშქრათ საქართველოს უმაღლესი მწვერვალი შხარა (ცენტრალური 5180 მ.), ლამის საბედისწერო გამოდგა. ერთ თოკში ჩაბმული ვანო იმნაიშვილი, გურამ სალია და ბელგიელი პატრიკ დოიმერი დაახლოებით 4200 მეტრზე ყინულოვან ფერდობზე მოწყდნენ. კარგა დიდ მანძილზე სრიალის შემდეგ ბეწვზე გადაურჩნენ უფსკრულში ჩაჩეხვას. მთამსვლელები იხსნა კლდის შვერილმა, რომელსაც სასწაულებრივად გამოედნენ.

თუმცა, ტრავმები მაინც ვერ აიცილეს. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ, ძალაგამოლეულებს, მიუდგომელ დათოვლილ ბაქანზე მაშველების გამოჩენამდე 48-საათიანი ლოდინი მოუხდათ. მაშველად კი საქართველოს სასაზღვრო ჯარების ვერტმფრენი მოევლინათ.

ამჟამად სამივე მათგანი საავადმყოფოშია. ტრავმებისა და მოყინულობის მიუხედავად, ექიმთა განცხადებით, მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და რამდენიმე დღეში გაწერენ კიდეც.

## TV-სპორტი

### ორშაბათი. 7 ივლისი

**НТВ + ФУТБОЛ**

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "გრემიო" - "ფლამენგო"
15:00 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "ლაციო" - "ინტერი"
16:45 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
17:15 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "ბორდო" - "სპარტაკი" (რუსეთი)
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:20 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "შალკე" - "შტუტგარტი"
21:05 "ტოტალიზატორი". რუსეთის ჩემპიონატი. მე-16 ტური
21:20 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "ბარსელონა" - "ესპანიოლი"
23:05 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "მილანი" - "ჰერტა"
00:50 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "ჩელსი" - "ლიდსი"

**НТВ + СПОРТ**

11:00, 13:45, 17:00, 20:15, 22:00 პრესცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 "საჭადრაკო მიმოხილვა"
12:15 კალათბურთი. WNBA ჩემპიონატი
14:00 ავტორბოლა. რუსეთის ჩემპიონატი წრიულ რბოლებში
17:15 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. საუკეთესო მატჩები
20:30 სპორტული ცეკვები. ევროპის ჩემპიონატი ლათინოამერიკულ ცეკვებში შვეიცარიაში
21:30 "რკინის ფაქტორი"
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:25 "დიდი რინგი"
00:25 პოკერი. "One Million Poker-2003. მეორე ნაწილი
01:15 ახალი ამბები
01:30 პოკერი. "One Million Poker-2003. მეორე ნაწილი
02:10 "რკინის ფაქტორი"

**EUROSPORT**

11:30 "სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში"
12:30 მულტისპორტი
13:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
14:00 მძლეოსნობა. სუპერ გრან-პრი შვეიცარიაში
15:45 სპიდვეი. დანიის გრან-პრი
16:30 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
16:45 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
21:00 მძლეოსნობა. სუპერ გრან-პრი შვეიცარიაში
22:45 მძლეოსნობა. სპრინტერები
23:00 მძლეოსნობა. სუპერ გრან-პრი ზაგრებში
01:30 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
02:30 ახალი ამბები
02:45 მულტისპორტი
03:00 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
04:00 მულტისპორტი
04:15 ახალი ამბები

## Tour de France

# პროგნოზები პარიზული პროლოგის პრიზმით

ირაკლი ბერიაშვილი

უცნაური რამეა ეს პროლოგი – ტურ დე ფრანსის, ფაქტობრივად, პირველი ეტაპი, რომელსაც პირველ ეტაპად არ თვლიან, პროლოგს ეძახიან, სულ რაღაც შვიდიდან თორმეტ კილომეტრამდეა და, მე რომ მკითხოთ, მოთელვას დავარქმევდი.

უცნაური კი იმიტომ არის, რომ, ჯერ ერთი, ყველა თავისთვის, ცალ-ცალკე ეჯიბრება დროს და აქ გამარჯვება სულაც არ გულისხმობს საბოლოოს, თუნდაც პირველ ათეულს. ეს - ერთი მხრივ. მეორე მხრივ კი ყველა ფავორიტი ამ ერთგვარ მოთელვაზე, ტრადიციულად, საკმაოდ კარგ შედეგს უჩვენებს.

თუმცა, ახლა დიდი განსჯისა და მიეთ-მოეთის დრო აღარ არის, რადგან ამ საოცარ ტურნირს უკვე მისცეს სტარტი საოცარსავე ქალაქში და ჩვენც, გვინდა-არ გვინდა, უნდა მივყვეთ და გზადაგზა ვარკვიოთ, ვინ რა ბაგაჟით ჩამოვიდა და რას აპირებს.

წლევანდელი პროლოგი სულ 6,5 კილომეტრი იყო. ეიფელის კოშკიდან იწყებოდა და რადიოს სახლთან მთავრდებოდა.

ამ დღემდე ყველასთვის უცნობი ავსტრალიელი ბრედლი მაკჯი შვიდიოდე წუთში სახელიანი კაცი გახდა, და რადგან სახელი ტურ დე ფრანსსა და პარიზს დაემთხვა, მხოლოდ ამგვარი ვითარებისთვის დამახასიათებელი ეს ხიბლი არც ალარასოდეს მოშორდება.

ცხადია, ავსტრალიელის ეს გამარჯვება სულაც არ ნიშნავს, რომ სპორტსმენი ტურში რამე განსაკუთრებულს იზამს, დიდ ექვსეულში ან, თუნდაც, ოცეულში მოხვდება,



ბრედლი მაკჯიმ (მარცხნივ) პროლოგი მოიგო

**ტექნიკური შედეგები**

**პროლოგი. პარიზი - პარიზი. 6.5 კმ.**

| | |
|---|---|
| 1. ბრედლი მაკჯი (FDS, ავსტრალია) | 7,26 წმ. |
| 2. დევიდ მილარი (კოფიდისი, დიდი ბრიტანეთი) | +0,08 წმ. |
| 3. აიმარ ზუბელდია (ეუსკატელი, ესპანეთი, ბასკეთი) | +2 წმ. |
| 4. იან ულრიხი (ბიანკი, გერმანია) | +2 წმ. |
| 5. ვიქტორ პენა (US პოსტალი, კოლუმბია) | +6 წმ. |
| 6. ტაილერ ჰამილტონი (CSS, აშშ) | +6 წმ' |

მაგრამ ფრანგული წრის ნებისმიერი ეტაპის მოგება სრულიად განსაკუთრებული რამაა და მეც მხოლოდ ამის აღნიშვნა მინდოდა.

ახლა კი ლომებზე.

ლანს არმსტრონგი, ტურის ოთხგზის ჩემპიონი, როგორც წესი, შესანიშნავად ასპარეზობს პროლოგში. 1999 წელს - I ადგილი, 2000 - II, 2001 - III, შარშან - ისევ I. ისინიც ჩამოვთვალოთ, ვინც ამ წლებში შორიახლოს უვლიდნენ მომავალ ჩემპიონს. დევიდ მილარი, ქრისტოფორ მორო, ალექს ძულე, იან ულრიხი, ხოსება ბელოკი და სანტიაგო ბოტერო.

მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესოა, რა კავშირშია პროლოგში ნაჩვენები შედეგი საბოლოო შედეგთან, თუ არსებობს რამე ლოგიკა.

საერთო ჩათვლაში გამარჯვებული პროლოგს თუ ვერ იგებს, პირველ ხუთეულში მაინც ხვდება ხოლმე. თუ იმასაც ვიტყვით, რომ სხვაობა ამ პირველსა და მომდევნო ადგილებს შორის სულ რამდენიმე წამია, შეგვეძლება დაჯერებით ვთქვათ, რომ პროლოგში კარგად გამოსვლა მომავალი ჩემპიონისთვის აუცილებელი რამაა. თუმცაღა, არსებობს ერთადერთი გამონაკლისი. ეს იტალიელი მარკო პანტანია, მთების ნამდვილი მეფე. 1998 წელს ტურ დე ფრანსის ჩემპიონი პროლოგის შემდეგ 181-ე იყო. მაგრამ მერე "პირატმა" ალპებში ისეთი დღე აყარა კონკურენტებს, შენი მოწონებული...

დავბრუნდეთ პარიზში. დავით მილარსა და ქრისტოფორ მოროს, ცხადია, არმსტრონგის მეტოქეებად ვერ ჩავთვლით. ძულე არ არის მონაწილეთა შორის. იმათგან, ვინც პროლოგში კარგი შედეგი აჩვენა, უწინარეს ყოვლისა, თვითონ არმსტრონგია (გამარჯვებულთან 9 წამი წააგო), იან ულრიხი (+2 წმ), ხოსება ბელოკი (+9 წმ) და სანტიაგო ბოტერო (+9 წმ). თუ რიცხვებისა და სტატისტიკის ლოგიკა რაიმე მახეს არ გვიგებს, მომავალი გამარჯვებული ამათ შორის უნდა იყოს. მკითველისგან ნებას ავიღებ და, ჩემი მხრიდან, ამ პრეტენდენტებს, გამონაკლისის სახით, ფრანსისკო მანსებოსაც დავუმატებ.

ხვალისა და მომდევნო დღეებისა რა გითხრათ, მაგრამ მეშვიდე ეტაპიდან, როცა ალპებში ამოვყოფთ თავს, ნელ-ნელა გამოჩნდება, როგორი პროგნოზისტებიცა ვართ.

## ფორმულა 1

# შუმახერი შუმახერის წინააღმდეგ

გიგა გურასაშვილი



რალფ შუმახერმა ზედიზედ მეორედ მოიგო

ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, თუ სად იგრძნობოდა ყველაზე მეტად საწვავის, რეზინისა და გამონაბოლქვის სუნი. გუშინ მანი-კურის ტრასამ ფორმულა 1-ის საფრანგეთის გრან-პრის უმასპინძლა. ბუნებრივია, თითოეულ გრან-პრის ჰყავს თავისი ფავორიტი თუ ფავორიტები. ამ მხრივ უპირველეს ფავორიტად, როგორც ეს ხშირ შემთხვევაშია, "ფერარის" გერმანელი პილოტი მიხაელ შუმახერი ითვლებოდა. ყოველ შემთხვევაში, მანი-კურის ტრასა, შუმახერის წყალობით, წითელ ბარონს გუშინდლამდე ექვსჯერ მოურჯულებია. შუმახერმა ახლაც იყოჩაღა, მაგრამ არა ისე, როგორც მისმა უილიამსელმა ძმამ, რალფმა, - მე-8 ეტაპის კიდევ ერთმა ფავორიტმა, უფრო სწორად, ძირითადმა კონკურენტმა.

მანი-კურის 4,411 კმ სიგრძის ტრასა 1991 წლიდან დღემდე მასპინძლობს სამეფო რბოლებს და, იქიდან მოყოლებული, გუშინდელი ეტაპის ჩათვლით, 13-ჯერ შეუღია კარი საჯინიბოებისთვის. მანი-კური ულტრათანამედროვეა და ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო ტრასადაა მიჩნეული. ისევე როგორც სხვა დანარჩენ საფორმულე ტრასებს, მანი-კურსაც საკუთარი ხელწერა აქვს. ერთ-ერთ ყველაზე გლუვ და ბრტყელ საასპარეზო ზედაპირზე ძალზე ცოტაა გასასწრებად ხელსაყრელი ადგილი. ანუ, ბევრი რამ იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ გამოიდებს თავს პარასკევისა და შაბათის კვალიფიკაციებზე. ფაქტობრივად, კვალიფიკაციის მომგებმა, თუ ავარია არ შეემთხვა ან ტექნიკურმა პრობლემებმა არ შეუშალა ხელი, რბოლა უნდა მოიგოს. შაბათის კვალიფიკაცია კი, მოგეხსენებათ, "უილიამსის" საჯინიბოს ტრიუმფით დასრულდა, რომლის მთავარი შემოქმედნიც რალფ შუმახერი და კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოია არიან. გუშინ ისინი მანი-კურის სასტარტო ხაზის წინა რიგში გაამწესეს.

საფრანგეთის გრან-პრი 70 წრეზე (308,584 კმ) ქროლვას ითვალისწინებს. წინა რიგში მდგარმა უილიამსელებმაც სტარტიდან ჭადრაკისებურ ფინიშის ზოლამდე ისე მართეს საჭე, რომ მათი გასწრება ვერავინ მოახერხა. ამრიგად, ფორმულა 1-ის ჩემპიონატის მერვე ეტაპის გამარჯვებული რალფ შუმახერია, რომელიც თანაგუნდელ მონტოიაზე 13,8 წამით ადრე მივიდა ფინიშთან. ერთი სიტყვით, "უილიამსის" საჯინიბომ კვარცხლბეკის პირველი-მეორე ადგილები დაისაკუთრა. ჩემპიონატის ლიდერმა მიხაელ შუმახერმა კი რბოლა მესამე ადგილზე დაასრულა. თუმცა, ესეც საკმარისი იყო იმისთვის, რომ საერთო ჩათვლის უახლოეს მდევარზე კიმი რაიკონენზე უპირატესობა რვა ქულით გაეზარდა. რალფისთვის ეს გამარჯვება კარიერაში რიგით მეექვსეა და ზედიზედ მეორე გერმანიის გრან-პრის შემდეგ.

საერთო ჩათვლაში 64 ქულით მიხაელ შუმახერი ლიდერობს. მეორე ადგილზეა კიმი რაიკონენი (56 ქულა), მესამეზე - რალფ შუმახერი (53).

**საფრანგეთის გრან-პრი**

1. რალფ შუმახერი (გერმანია) "უილიამსი" 1:15.600
2. ხუან პაბლო მონტოია (კოლუმბია) "უილიამსი" + 13.8
3. მიხაელ შუმახერი (გერმანია) "ფერარი" + 19.5
4. კიმი რაიკონენი (ფინეთი) "მაკლარენ-მერსედესი" + 38.0
5. დევიდ კულჰარდი (დიდი ბრიტანეთი) "მაკლარენ-მერსედესი" + 40.2
6. მარკ ვებერი (ავსტრალია) "იაგუარი" + 66.3
7. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია) "ფერარი" + 1 წრე
8. ოლივიე პანისი (საფრანგეთი) "ტოიოტა" + 1 წრე

**საერთო ჩათვლა**

1. მიხაელ შუმახერი (გერმანია) "ფერარი" - 64
2. კიმი რაიკონენი (ფინეთი) "მაკლარენ-მერსედესი" - 56
3. რალფ შუმახერი (გერმანია) "უილიამსი" - 53
4. ხუან პაბლო მონტოია (კოლუმბია) "უილიამსი" - 47
5. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია) "ფერარი" - 39
5. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი) "რენო" - 39

**კონსტრუქტორთა ჩათვლა**

1. "ფერარი" - 103
2. "უილიამსი" - 100
3. "მაკლარენ-მერსედესი" - 85
4. "რენო" - 52
5. BAR - 13

# „საოჯახო ტოტო"-ს 5 ივლისი №15 გათამაშების ცხრილი

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 000013 | 1,5 |
| 000024 | 2,0 |
| 000040 | 1,5 |
| 000044 | 1,5 |
| 000075 | 1,0 |
| 000077 | 11,0 |
| 000090 | 1,0 |
| 000136 | 1,5 |
| 000148 | 4,0 |
| 000169 | 2,0 |
| 000240 | 3,0 |
| 000256 | 1,5 |
| 000273 | 1,5 |
| 000281 | 13,0 |
| 000287 | 2,0 |
| 000298 | 4,0 |
| 000322 | 2,0 |
| 000406 | 3,5 |
| 000410 | 13,0 |
| 000419 | 3,0 |
| 000435 | 1,5 |
| 000477 | 1,0 |
| 000529 | 1,5 |
| 000539 | 1,5 |
| 000547 | 2,5 |
| 000556 | 3,5 |
| 000558 | 1,0 |
| 000612 | 1,0 |
| 000632 | 35,0 |
| 000682 | 1,0 |
| 000705 | 3,0 |
| 000710 | 2,5 |
| 000763 | 3,0 |
| 000785 | 9,0 |
| 000796 | 2,0 |
| 000820 | 3,0 |
| 000823 | 2,5 |
| 000827 | 15,0 |
| 000850 | 3,0 |
| 000915 | 1,0 |
| 000941 | 1,5 |
| 000949 | 4,0 |
